ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 25 – 26 ივნისი, 2016

№149 (7075)

ფასი: 50 თეთრი

## რა სჭირს ეროვნულ ვალუტას

გვ.6



# დარიალის ხეობა ისევ დაიმეწყრა



„რესურსები, რა თქმა უნდა, მობილიზებულია. ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტში გვაქვს გათვალისწინებული სტიქიის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხები. ამ წუთის შეფასებით, რა ინფორმაციაც მე მაქვს, ჩვენ დაგვჭირდება, სადღაც, 10 დღე – 2 კვირა იმისათვის, რომ ეს ჩაწყვეტილი გზა აღვადგინოთ"



გვ.6

## რა კავშირი აქვს ჰესებს მეწყერთან

## ზურაბ აბაშიძე; „ქართულმა ოცნებამ" პარლამენტის თბილისში დაბრუნებაც კი ვერ მოახერხა"

გვ.4





დღეს ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რანგის ბრალდების მოწმე პროკურატურის ხელში

გვ.3

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ეროსი კიწმარიშვილი სააკაშვილზე სკანდალურ ინფორმაციას ფლობდა"





გვ.5

## თამაზ მეჭიაური: „ჩვენ რომ ევროკავშირში შევალთ, იქ არარავინ დაგვხვდება"

რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი

გვ.4



## ანზორ აბრალავა: „ნაციონალები თავს გვესხმიან"



## დავით უსუფაშვილი: „აქ კითხვებს დეპუტატები სვამენ"

გვ.2

რაზე ეკამათა სპიკერი წულუკიანის მოადგილეს



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით უსუფაშვილი: „აქ კითხვებს დეპუტატები სვამენ“

## რაზე ეკამათა სპიკერი წულუკიანის მოადგილეს

შორენა მარსაგიშვილი

**საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიას 8 ოქტომბრის პოლიცია გააკონტროლებს. გუშინ, 24 მაისს, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მეორე მოსმენით მიიღო.**

კანონპროექტის ინიციატორი იუსტიციის სამინისტროა. მათ მიერ ინიცირებული კანონპროექტი ორ მთავარ მიმართულებას ითვალისწინებს: საარჩევნო უბნებზე ძალადობის შემთხვევაში სასჯელის გამკაცრებასა და არჩევნების დღეს სამართალდამცავების მოქმედების წესს.

კანონპროექტის წინააღმდეგ კენჭისყრაზე გამოვიდნენ ეროვნული ფორუმის წარმომადგენლები.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „თავისუფალ დემოკრატებს“, თუმცა ცნობილი იყო, რომ ისინი ასევე არ უჭერდნენ კანონპროექტს მხარს.



პარტიის ერთ-ერთ ლიდერ შალვა შავგულიძის აზრით, არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებთან პოლიციელთა განუსაზღვრელი რაოდენობით დაპატიჟება მოხდება.

— პროექტით არ არის განსაზღვრული, რა ტერიტორიას მოიცავს „მიმდებარე ტერიტორია“. გადაწყვეტილებას მიიღებს თავად პოლიცია, სად განთავსდეს, რა მოცულობითა და რაოდენობით განთავსდეს. ეს გვაძლევს სურათს, რომ საარჩევნო პერიოდში — არჩევნების დღეს პოლიციას შეუძლია დაიკავოს მთელი ქვეყნის ტერიტორია, განსაკუთრებით საარჩევნო უბნების სიახლოვის ტერიტორია, რაც დემოკრატიულ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარების განცდას არ შექმნის, — განაცხადა შავგულიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

სამართალდამცავების მოქმედების წესთან დაკავშირებით შენიშვნა ჰქონდათ რესპუბლიკელებსაც.

როგორც პლენარულ სხდომაზე მათმა წარმომადგენელმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ აღნიშნა, როგორც კი აღმოიფხვრება წესრიგის დარღვევა, პოლიციამ უნდა დატოვოს საარჩევნო უბნის ტერიტორია.

— ამ დამატების გარეშე ფრაქცია „რესპუბლიკელები“ მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილი ცვლილებების შეტანას, — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

თავის მხრივ, კანონპროექტის ინიციატორმა ალექსანდრე ბარამიძემ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინების პირობა დადო.

ამ ცვლილებების თანახმად, საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემა, სხვაგვარი ძალადობა ან ძალადობის მუქარა სისხლის სამართლის დანაშაული იქნება.



აღნიშნული დანაშაული ჯარიმით ან 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება, ხოლო თუ იმავე ქმედებამ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გამოიწვია ან ის ჩადენილია ჯგუფურად, თავისუფლების აღკვეთის სანქცია სამი და 2-დან 5 წლამდე ვადით განისაზღვრება.

ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია სანქციის გამკაცრება ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა, ცემა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევაში პოლიციის მუშაკებს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშე ყოფნის უფლება შეიძლება მიეცეთ.

* * *

მართალია, პარლამენტმა ცვლილებებს მხარი დაუჭირა, მაგრამ მხარდაჭერამდე პარლამენტის თავმჯდომარემ და იუსტიციის მინისტრის მოადგილემ იკამათეს.

დავით უსუფაშვილის გაღიზიანება მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძის შეკითხვამ გამოიწვია, რაზეც უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტში კითხვებს დეპუტატები სვამენ და არა — პირიქით:

— ბატონო ალექსანდრე, აქ კითხვებს პარლამენტის წევრები სვამენ. თქვენ აქ იმიტომ ბრძანდებით, რომ პასუხები გასცეთ და არა სანაცვლო კითხვები დასვათ, ფრაქცია თუ პარლამენტის წევრები, ვინ როდის მისცემს ხმას. ძალიან გთხოვთ, კორექტულობა დაიცვათ მაგ ტრიბუნიდან. რა კითხვაა ეს?! აქ ოთხი წლის განმავლობაში მომხსენებლებიდან არავის არცერთი პარლამენტის წევრისთვის ასეთი კითხვა არ დაუსვამს, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

შეკამათება პროექტის იმ ნაწილს მოჰყვა, რომელიც საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციელთა ყოფნას ითვალისწინებს.

# რას პასუხობს მთავარი პროკურატურა კიწმარიშვილის ოჯახს



საქართველოს მთავარი პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით მისი ოჯახის წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ისინი პროკურატურის დასკვნას, თითქოს ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა, უნდობლობას უცხადებენ.

პროკურატურის განცხადების ტექსტს „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

— გვინდა გამოვეხმაუროთ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის წევრის და მისი ადვოკატების მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე, ოჯახის წევრების და მათ მიერ მოწვეული ექსპერტების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა უპრეცედენტო მასშტაბის გამოძიება, რომელმაც პასუხი გასცა ყველა კითხვას, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებას უკავშირდება. განცხადებაში მოყვანილ კითხვებს პასუხი გაეცა გამოძიების მსვლელობის დროს სწორედ ამ პირების მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია გამოძიების შედეგები ყველა დასმულ საკითხთან მიმართებით, კიდევ ერთხელ გვინდა საზოგადოების ინფორმირების მიზნით განვმარტოთ შემდეგი: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ეროსი კიწმარიშვილს თავის არეში აღენიშნებოდა ცეცხლნასროლი ნატყვიარი ჭრილობა, თავის ტვინის მთლიანობის დარღვევით, სისხლჩაქცევებით თავის ტვინის გარსებსა და ტვინის ნივთიერებაში, ქალა-ფუძისა და ქალა-სარქველის ძვლების მოტეხილობით. შესავალი ხვრელით მარჯვენა საფეთქლის მიდამოდან და გამოსავალი ხვრელით მარცხენა თხემ-საფეთქლის მიდამოში“.

ექსპერტების, მათ შორის გარდაცვლილის ოჯახის წევრის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტის განმარტებით ყველა ზემოთ მითითებული დაზიანება განიხილება ერთი ცეცხლნასროლი დაზიანების კონტექსტში და არცერთი არ წარმოადგენს იზოლირებულ, დამოუკიდებელ დაზიანებას. ექსპერტიზის დასკვნით უტყუარად არის დადგენილი, რომ ეროსი კიწმარიშვილს თავზე აქვს მხოლოდ ერთი — ცეცხლნასროლი დაზიანება. მარჯვენა ხელის არეში არსებული დაზიანება კი არის წერტილოვანი, მსუბუქი ხარისხის და არანაირი კავშირი არ აქვს დამდგარ შედეგთან.

რაც შეეხება განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2015 წლის 7 იანვარს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა პირი, რომელმაც უკანონოდ შეაღწია ეროსი კიწმარიშვილის სოციალურ ქსელში, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პირს არაერთხელ აქვს ჩადენილი ანალოგიური დანაშაული. იგი იღებდა სხვადასხვა პროდუქციის რეკლამირების დაკვეთებს, რასაც ახორციელებდა ცნობილი პირების სოციალურ გვერდზე რეკლამის განთავსებით. აღნიშნული პირი გასამართლდა და სასამართლოს მიერ სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. მის მიმართ სასამართლოში ამჟამადაც მიმდინარეობს საქმის განხილვა სხვა მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით.

გამოძიების პროცესში შესწავლილი იქნა ინფორმაცია ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების დღეს მისი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული კავშირების შესახებ — 2 012 573 სატელეფონო ზარი. შესწავლის შედეგად ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რაიმე საეჭვო გარემოება არ დადგინდა.

კიდევ ერთხელ გვინდა გამოვეხმაუროთ „ჩრდილოკავკასიური გარეგნობის მამაკაცის“ გადაადგილებას ეროსი კიწმარიშვილის კორპუსთან.

გამოძიებით დადგენილი ფაქტია, რომ კიწმარიშვილის საცხოვრებელ კორპუსთან დამონტაჟებულ კამერაში ჩანს 2014 წლის 15 ივლისს (ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების დღე) როგორ გადაადგილდება შავ სპორტულ სამოსში ჩაცმული პირი კორპუსის მიმდებარედ, ისე, რომ შეუჩერებლად გვერდს უვლის კორპუსს და გადის ჭავჭავაძის გამზირზე. აქვე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ პირის გადაადგილება დაფიქსირებულია 14:39 საათზე, მაშინ როდესაც ეროსი კიწმარიშვილი ჯერ კიდევ სახლში იმყოფებოდა.

ჩატარებული გამოძიებით უტყუარად დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილი არის ავტომობილი, რადგან სწორედ ავტომობილში დაფიქსირდა დენთის და ტყვიის კომპონენტების კვალი. ავტომობილის სალონში, მარცხენა კარის საყრდენზე დაფიქსირდა ნატყვიარი, რომელშიც აღმოჩნდა ტყვია. სისხლის შხეფების მარაოსებური გაშლა მარცხნიდან მარჯვნივ, ცალსახად ადასტურებს, რომ სროლა ავტომობილის წინა მარცხენა სავარძლის მიდამოში განხორციელდა, სადაც აღმოჩენილი იქნა გვამი, ხოლო სისხლის კვალის უწყვეტობა სალონში ცალსახად გამორიცხავს სხვა პირის ყოფნას. გარდა ამისა, გარდაცვლილის მარჯვენა ხელზე და პიჯაკის მარჯვენა სახელოზე დაფიქსირდა დენთის და ტყვიის შემადგენელი კომპონენტების კვალი დიდი ინტენსივობით, რაც უტყუარად ადასტურებს, რომ სროლა სწორედ მის მიერ არის განხორციელებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და გამოძიებით ცალსახად დადგენილი სხვა ფაქტების გათვალისწინებით უტყუარად დადასტურდა, რომ სახეზე არ არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, სახეზეა თვითმკვლელობა, — ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# გიორგი კვირიკაშვილი: „ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანია უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი“

მთელი წინასაარჩევნო კამპანია, განსაკუთრებით ოპოზიციისთვის, უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე. მისი თქმით, არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარება მთავრობის ღირსების საკითხია.



**გიორგი კვირიკაშვილი:**

— რამდენიმე დღის წინ გავაკეთე განცხადება წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თავიდან აცილება. ჩვენი მოწოდებაა, რომ მაქსიმალურად მშვიდობიან გარემოში, ღირსეულად ჩავატაროთ ეს არჩევნები. მინდა დავამატო შემდეგი, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მთელი ამ პროცესის გამჭვირვალობა, ამიტომ მთელი წინასაარჩევნო კამპანია, განსაკუთრებით მინდა ვთქვა, რომ ოპოზიციისთვის წინასაარჩევნო კამპანია უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი. რა თქმა უნდა, მმართველი ძალის წინასაარჩევნო კამპანიასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და მთელი ამ პროცესის გამჭვირვალობას.

პრემიერის თქმით, როგორც პირადად მისი, ისე არაერთი მინისტრის მხრიდან მრავალ საერთაშორისო პლატფორმაზე გაჟღერდა მოწოდება და თხოვნა, რომ რაც შეიძლება ბევრი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ჩამოვიდეს საქართველოში და რაც შეიძლება ადრე, რომ მთელი ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც მედიისთვის წვდომას ამ პროცესების გაშუქების კუთხით, ასევე არასამთავრობო სექტორის ჩართულობას.

— მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველა სახელმწიფო მოხელეს უპირველეს ყოვლისა, რომ მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ ერთი კითხვის ნიშანიც კი მთელი ამ პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ეს არის ჩვენი მთავრობის ღირსების საკითხი, რომ შევძლოთ მართლაც დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება და სათანადოდ იქნას გაშუქებული მთელი ეს პროცესი, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ეროსი კიწმარიშვილი სააკაშვილზე სკანდალურ ინფორმაციას ფლობდა“

## დღეს ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რანგის ბრალდების მოწმე პროკურატურის ხელში





გულიკო ბალაძე

**ვის და რა ძალებს აწყობდათ ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილი? ხომ არ არსებობს ვერსიები, რომელზეც პროკურატურა არ საუბრობს?**

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პროკურატურას ვერსიას სთავაზობს.

— როდესაც პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის შესახებ აკეთებს განცხადებას, ეჭვის გამომწვევი ყველა გარემოება უნდა იყოს შესწავლილი. პროკურატურის მიერ კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეში ერთ-ერთ ვერსიად, სააკაშვილთან და ნაცმოძრაობასთან მისი დაპირისპირებაც უნდა იქნას განხილული, — აცხადებს იგი.

***— ბატონო დიმიტრი, ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის შესახებ პროკურატურის ოფიციალურ ვერსიას არ ეთანხმებით?***

— ბატონი ეროსი კიწმარიშვილი გახლდათ საჯარო პირი. როდესაც საჯარო პირის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით პროკურატურა თვითმკვლელობის შესახებ აკეთებს განცხადებას, ბუნებრივია, ეჭვის გამომწვევი ნებისმიერი გარემოება უნდა იყოს შესწავლილი. ყველა კითხვაზე პასუხი უნდა იყოს გაცემული. ეროსი კიწმარიშვილის ძმის განცხადებით, მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მიუხედავად გარდაცვლილის ოჯახის წევრების კატეგორიული მოთხოვნისა, არ შესრულდა. ამიტომ ეს არის საკითხი, რომელსაც პროკურატურა აუცილებლად უნდა მიუბრუნდეს.

გარდა ამისა, როდესაც საჯარო პირის გარდაცვალებასთან გვაქვს საქმე და გამოძიება იწყება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, პირველი კითხვა, რაც ჩნდება, არის ის, თუ ვის შეიძლება აწყობდეს ამ ადამიანის სიკვდილი, ან მისი სიცოცხლის მოსპობით ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული.

***— ვის აწყობდა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება? სხვადასხვა ვერსიებია. რუსთავი-2-საც უკავშირებენ.***

— როგორც იურისტი, ვალდებული ვარ, მკაცრად სამართლებრივ ჩარჩოებში მოვაქციო ჩემი მსჯელობა. ყველა იმ კითხვას პასუხი გავცე, რომელიც საზოგადოებაში ჩნდება. ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც ნაცმოძრაობის აქტივისტები დღემდე უწევენ გააფთრებულ ლობირებას, არის ის, რომ კიწმარიშვილის გარდაცვალება შესაძლოა უკავშირდებოდეს რუსთავი-2-თან დაკავშირებულ დავას. თუმცა, თუ ნაცმოძრაობა აპელირებს რუსთავი-2-ის წილებთან დაკავშირებით არსებული დავით, ვალდებულია სხვა ვერსიაზეც გაამახვილოს ყურადღება.

***— კერძოდ, რა ვერსიაზე მიანიშნებთ?***

— არსებობს ვერსია, რომელიც რუსთავი-2-თან დაკავშირებულ ვერსიას აჭარბებს. მე ვესწრებოდი პარლამენტში 2008 წლის ომთან დაკავშირებით შექმნილ დროებით კომისიაში ეროსი კიწმარიშვილის დაკითხვას, როდესაც მან სკანდალური და სენსაციური განცხადებები გააკეთა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილი ემზადებოდა აფხაზეთზე თავდასასხმელად.

***— ამ განცხადებიდან გამომდინარე. ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება ყველაზე მეტად ნაცმოძრაობას აწყობდა?***

— რა თქმა უნდა. ნაცმოძრაობა არ უნდა გამოირიცხოს. ნაცმოძრაობა არა თუ არ უნდა გამოირიცხოს, არამედ რისკფაქტორებს შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქნას აღქმული.

***— რისკ ფაქტორად რას მიიჩნევთ?***

— ჰააგის სასამართლო დაინტერესდა აგვისტოს მოვლენების სკრუპულოზური გამოძიებით. დღეს ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რანგის ბრალდების მოწმე პროკურატურის ხელში. სწორედ ეროსი კიწმარიშვილი გახლდათ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ომის დაწყებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე. ეს სკანდალური განცხადება ეროსი კიწმარიშვილმა სანდო ინფორმაციებზე დაყრდნობით გააკეთა.

***— ჰააგის პროკურატურამ კიწმარიშვილის დაღუპვით მნიშვნელოვანი მოწმე დაკარგა სააკაშვილის წინააღმდეგ?***

— ჰააგის პროკურორთან მისი თანამშრომლობა დიდი წვლილის შემტანი იქნებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის გარემოებების გამოძიებაში. ის იქნებოდა ბრალდების მოწმე.

***— როგორც მახსოვს, ამ განცხადების გამო, კიწმარიშვილს გივი თარგამაძემ კალამი ესროლა.***

— დიახ, ეროსი კიწმარიშვილს კომისიის წინაშე ჩვენება ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, რომ გივი თარგამაძემ მას კალამი გაუქანა სახის მიმართულებით, ნიშნად იმისა, გაჩუმებულიყო და აღარ გაეგრძელებინა თხრობა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს გავუსვამდი ხაზს, რომელიც კიწმარიშვილის პოლიტიკურ მიზნებთანაა დაკავშირებული. 2014 წელს კიწმარიშვილმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო მუნიციპალური არჩევნების წინ, დამოუკიდებლად ეყარა კენჭი. ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ის რუსთავის მერობის კანდიდატად წარადგინა. მან ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა რუსთავის საზოგადოებაში. როგორც მახსოვს, მან მიიღო 12,6% და მესამე ადგილზე გავიდა.

— სწორედ ამ არჩევნების შემდეგ, ეროსი კიწმარიშვილმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა მის მხარდამჭერებს მოუწოდა, არჩევნების მეორე ტურში გასული ნაცმოძრაობისთვის დაეჭირათ მხარი. ამით კიწმარიშვილთან დაკავშირებით ნაცმოძრაობას ხელ-ფეხი არ გაეხსნა?

***— მან თქვა, რომ ნაცმოძრაობას უჭერდა მხარს?!***

— დიახ, ამომრჩევლებსაც მოუწოდა, ნაცებისთვის დაეჭირათ მხარი. საპარლამენტო კომისიაში დაკითხვისა და წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რაც მას ჰქონდა ნაცმოძრაობასთან, ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი შეცდომა არ იყო? ნაცმოძრაობას შეუძლია თქვას, რომ კიწმარიშვილთან არავითარი წინააღმდეგობა არ ჰქონდათ, თორემ ამომრჩევლებს ნაცების მხარდაჭერისკენ არ მოუწოდებდაო.

— ეს სხვა მსჯელობის საგანია. კიწმარიშვილი არა თუ დეპრესიისკენ არ იყო მიდრეკილი, არამედ გარდაცვალებამდე ერთი თვის ადრე საარჩევნო კამპანიაში იყო ჩაბმული, ყოველდღიურად განცხადებებს აკეთებდა, ორ დღეში ერთხელ პრესკონფერენციებს იწვევდა და აქტიური რესპონდენტი იყო. ბუნებრივია, როდესაც ადამიანი თავისი პოლიტიკური დებიუტისას ასე აქტიურია, ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ეროსი კიწმარიშვილი გამორჩეული ფიგურა იყო იმ არჩევნებში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კიწმარიშვილი იმ არჩევნებიდან ერთი თვის თავზე გარდაიცვალა, ანუ 2014 წლის 15 ივლისს, ხოლო 15 ივნისს ჩატარდა არჩევნები.

***— რას იტყვით იმ მოტივზე, რაზეც პროკურატურა აკეთებს აქცენტებს?***

— პროკურატურის აქცენტს აკეთებდა ვალზე, რამაც თითქოს მას თვითმკვლელობისკენ უბიძგა. ამის დაჯერება რთულია. შეიძლება კიწმარიშვილი უჩიოდა კონკრეტულ შემოსავლებს, მაგრამ მეორე მხრივ, მას ჰქონდა მილიონიანი ქონება საზღვარგარეთ, რაზეც დღეს აქტიურად კეთდება განცხადებები. მილიონიანი ქონების არსებობის პირობებში, 300-400 ათას დოლარამდე ვალი, მისი თვითმკვლელობის საფუძველი ვერ გახდებოდა. ოჯახის წევრები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ პროკურატურამ მათი რიგი მოთხოვნები არ შეასრულა. ოჯახი მოითხოვდა სამგანზომილებიან პროექციაში ჩაეტარებინათ საგამოძიებო ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი 3დ პროექციაში არ განხორციელებულა. რატომ? ამ კითხვას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

***— დამოუკიდებელი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტები, სალონის კვლევა. მაია ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ სისხლის განფენილობა და სხვა გარემოებები სალონში გამორიცხავს მეორე ადამიანის არსებობას. როგორ შეიძლება აიხსნას დამოუკიდებელი ექსპერტის ეს განცხადება? ან კიდევ თვითმკვლელობამდე მიყვანა შეიძლება დავუშვათ?***

— ჩემი ვერსიებით არ ვამტკიცებ, მკვლელობა მოხდა თუ თვითმკვლელობა. მე ვაცხადებ, რომ სანამ არსებობს კითხვები, მანამ არ შეიძლება გადაიწუროს ოჯახის წევრების იმედი. ისინი გააფთრებით იბრძვიან იმისათვის, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს. ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ორგანიზებული მკვლელობა იყო.

***— პროკურატურის წარმომადგენილი ვიდეომასალა თუ გეუბნებათ რაიმეს?***

— წარმოდგენილ ვიდეომასალაში, სადაც აღდგენილია კიწმარიშვილის მოქმედებების რიგითობა, ერთ-ერთ ეპიზოდში ნაჩვენებია კიწმარიშვილი საზაფხულო პერანგში.

***— ლიფტთან რომ არის?***

— დიახ, როცა ქვევით ჩადის ავტოფარეხში. თაკარა მზე იყო, ცხელოდა და სრულიად ადეკვატურად ეცვა მოკლესახელოიანი პერანგი. მანქანაში კი ის აღმოჩნდა შავ პიჯაკში ჩაცმული და ღვედგადაჭერილი. გამოდის, რომ მანქანაში ჩაიცვა პიჯაკი, რომელიც, როგორც ჩანს, მანქანაში ჰქონდა. სახლიდან გამოსულს ხელში უჭირავს ტელეფონი და საფულე. იარაღის რელიეფური კვალი, მათ შორის, ქამრის მიმდებარედ არ ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იარაღიც და პიჯაკიც მანქანაში იდო. ჩნდება შეკითხვა, რამდენად ადეკვატური ქმედებაა, როცა ადამიანი თაკარა მზეში ჯდება მანქანაში, იცვამს პიჯაკს, იკეთებს ღვედს, ქოქავს მანქანას და იკლავს თავს? თუ კიდევ არსებობს ვერსიები და გარემოებები, რომელზეც პროკურატურა არ საუბრობს, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, არსებობს კითხვები, რაზეც პროკურატურას დამატებით მოუწევს პასუხების გაცემა.

***— თუ ეს იყო ორგანიზებული მკვლელობა, ისე სუფთად ჩატარდა, რომ სალონში კვალი არ დარჩა?***

— თუ მაღალ დონეზე დაგეგმილ ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვს საქმე (რომელსაც შეასრულებდა მაღალპროფესიონალი ქილერი), ამ შემთხვევაში გამორიცხვის უფლება ნამდვილად არ გვაქვს, რადგან ოჯახი კატეგორიულად მოითხოვდა და მოითხოვს 3დ განზომილებაში ექსპერიმენტის რეკონსტრუირებას.

***— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ადამიანის მკვლელობის მოტივი გარკვეულ ძალებს ჰქონდათ?***

— ფაქტია, რომ ის იყო საჯარო პირი, რომელთანაც ძალიან ბევრი სკანდალური ფაქტი იყო დაკავშირებული. არ მინდა ჩამოვთვალო და ვთქვა ყველაფერი. ეს ადამიანი იყო საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ძალიან ბევრი ილაპარაკა სააკაშვილზე, რამაც ნაცმოძრაობის აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ ეს გარემოებაც ერთ-ერთ ვერსიად უნდა იქნას განხილული.

## იენს სტოლტენბერგი: „დიდი ბრიტანეთი ნატო-ს სანდო მოკავშირედ დარჩება“



ნატო-ს სანდო მოკავშირედ დარჩება და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წამყვან როლს შეასრულებს, — აღნიშნული განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გააკეთა.

— ბრიტანელმა ხალხმა ევროკავშირის დატოვება გადაწყვიტა. ეს ახალ ფურცელს შლის ევროკავშირთან ურთიერთობებში, მაგრამ ვიცი, რომ ნატო-სთან მიმართებაში გაერთიანებული სამეფოს პოზიცია უცვლელია. დიდი ბრიტანეთი ნატო-ს სანდო და ერთგულ მოკავშირედ დარჩება და ჩვენს ალიანსში წამყვანი როლის შესრულებას გააგრძელებს, — ნათქვამია სტოლტენბერგის განცხადებაში. ნატო-ს გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების კუთხით მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის ფონზე, ნატო-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

— ძლიერი, ერთიანი და მტკიცე ალიანსი არასტაბილური სამყაროს სტაბილურობის საყრდენად და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკვანძო ფაქტორად რჩება, — მიიჩნევს სტოლტენბერგი.

ინტერპრესნიუსი

## უჩა ნანუაშვილი: „შარშან პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი“



სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის განცხადებით, გასულ წელს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. როგორც ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, წინა წლებში მსგავსი ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდებოდა, თუმცა წელს ეს დინამიკა პოლიციელთა მხრიდან გაიზარდა.

**უჩა ნანუაშვილი:**

— გასულ წელს დინამიკა იყო ასეთი, რომ პოლიციელთა მხრიდან გაიზარდა არასათანადო მოპყრობის ფაქტები, განსაკუთრებით დაკავებისას. თუ წინა წლებში მსგავსი ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იყო, 2015 წელს ფაქტები გაიზარდა პოლიციელთა მხრიდან. სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, რომ გაორმაგებულია ეს მაჩვენებელი, — აღნიშნა ომბუდსმენმა.

ინტერპრესნიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ აბაშიძე: „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის თბილისში დაბრუნებაც კი ვერ მოახერხა“

ნათია ხურცილავა

**„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის ოთხწლიან მუშაობას აფასებს და აცხადებს, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი უკეთესი იქნება.**

***— ბატონო ზურაბ, პარლამენტმა გუშინ ბოლო პლენარული სესია გამართა, შესაბამისად, მუშაობაც დაასრულა. როგორ შეაფასებთ ამ მოწვევის პარლამენტის საქმიანობას?***

— ძალიან განსაკუთრებული წვლილი ჰქონდა და ქვეყნის განვითარებისთვის გარდამტეხი იყო ამ მოწვევის პარლამენტის საქმიანობა, ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ისე ყოფილა, რომ არაფერი შედეგი არ დაუდია. რასაკვირველია, იყო შედეგებიც.

***— მაგალითად?***

— მაგალითად, სწორედ ამ პარლამენტმა გაათავისუფლა უსამართლოდ და უკანონოდ დაკავებული ადამიანები ციხიდან. შეიძლება ამ პროცესს გარკვეული შეცდომები ახლდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამნისტია იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც ამ მოწვევის პარლამენტმა გადადგა, იყო ის, რომ ევროკავშირთან მოახდინა ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების რატიფიცირება. რაც სამწუხაროა და ამას ვამბობ ძალიან გულდაწყვეტილი, როგორც ამ მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, არის ის, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები ვერ შევიტანეთ. გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ ეს არ არის ადეკვატური. გახსოვთ, რომ კონსტიტუცია თავის დროზე სააკაშვილმა მოირგო, როგორ მოახდინა პრემიერის ინსტიტუტის გაძლიერება და ა.შ. ჩვენ ვერ შევძელით მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, რომელიც რეალურად სწორ რელსებზე დააყენებდა ქვეყანას.

***— რატომ ვერ მოხდა რეალური საკონსტიტუციო ცვლილებები? მახსოვს, როგორ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც ძალიან ბევრ საკითხზე უნდა ემსჯელა.***

— ვერ მოხდა გარკვეული მიზეზების გამო. სერიოზული წარუმატებლობა ხვდა წილად იმ კომისიას, რომელიც შეიქმნა სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებლად. მაღალი მოლოდინი იყო, მაგრამ შედეგი ვერ დადგა. ვერ იმუშავა ამ კომისიამ. აქ არ არის მხოლოდ ბატონი დავით უსუფაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც ის იყო კომისიის თავმჯდომარე, საუბარია ყველა პოლიტიკოსზე, რომლებსაც ხელეწიფებოდათ გადაწყვეტილების მიღება. მე, პირადად, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის პოლიტიკური ნება ვერ დავინახე.



***— კიდევ რას გამოყოფდით?***

— იმას, რომ ვერ მოხდა ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში დაბრუნება.

***— ეს მნიშვნელოვანი საკითხია?***

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია პარლამენტის მუშაობის ხარისხის კუთხით. შრომისუნარიანობას, გინდა თუ არ გინდა, ეს მაინც აგდებს. დეპუტატები გზაზე ვიყავით გაბმული. ასევე, აქ ძალიან მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც იხარჯება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პარლამენტის ქუთაისში არსებობამ, პირველ რიგში, გამოიწვია მეტი საბიუჯეტო სახსრების დახარჯვა.

***— რა იყო ის მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომელიც ამ მოწვევის პარლამენტს შეეძლო მიეღო და ვერ მიიღო?***

— ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის საარჩევნო კოდექსი, ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც რეალურად, თვისობრივად შეცვლიდა სასიკეთოდ საარჩევნო გარემოს ქვეყანაში. ეს იქნებოდა, მე ასე ვიტყოდი, გარდამტეხი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, მისი დემოკრატიულად განვითარებისთვის. ცხადია, აქვე დავასახელებ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებიც ვერ განვახორციელეთ. თუ ამ მოწვევის პარლამენტი ამას შეძლებდა, ეს იქნებოდა საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე დიდი წინსვლა. დასანანია, რომ ეს ვერ მოვახერხეთ.

***— ბატონო ზურაბ, თქვენ შეხვედით, როგორც უმრავლესობა, მაგრამ აღმოჩნდით ოპოზიციაში. მოვლენების ასე განვითარებას მაშინ წარმოიდგენდით?***

— დღეს ამაზე საუბარი მარტივი არ არის. ჩვენ ვიბრძოდით გულწრფელად სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წარმატებით დასრულდა და, რასაკვირველია, ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი წვლილი ბიძინა ივანიშვილმა შეიტანა, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და ცხადია, რომ არა ხალხი, ამ ქვეყნის მოქალაქეები ეს ვერ მოხდებოდა, მაგრამ მოლოდინი იმდენად მაღალი იყო კოალიციის მიმართ, რომ ეს ვერ შესრულდა.

***— ამ პარლამენტს მეტის გაკეთება შეეძლო?***

— მეტის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო ნება იმისა, რომ მთავრობა რეალურად არის ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე და არა ფურცელზე.

***— რა მოლოდინი გაქვთ, ახალი მოწვევის პარლამენტი უკეთესი იქნება?***

— უკეთესი უნდა იყოს. ჩემი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქის ინტერესი რა არის, რომ გვქონდეს უკეთესი სახელმწიფო, უკეთესი ეკონომიკა, უკეთესი ცხოვრების დონე, გვყავდეს უკეთესი პარლამენტი და უკეთესი მთავრობა, რომ ჩემი, როგორც მოქალაქის ინტერესები იყოს ყველა დონეზე დაცული და უზრუნველყოფილი.

# კახა გოგოლაშვილი: „ბრიტანეთის ევროკავშირიდან რეალურ გასვლას რამდენიმე წელი დასჭირდება“

— ბრიტანეთის ევროკავშირიდან რეალურ გასვლას რამდენიმე წელი დასჭირდება, მაგრამ ევროკავშირის იმიჯისთვის ეს ძალიან დიდი დარტყმაა, — ასე შეაფასა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ექსპერტმა კახა გოგოლაშვილმა გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები.



მისივე თქმით, ბრიტანეთი თუ გადის ევროკავშირიდან, იმედი აქვს იმის, რომ მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება მაინც დარჩება და ბრიტანეთის მოქალაქეებს ევროპაში ვიზა არ დასჭირდებათ; ბრიტანულ ბიზნესს არ დასჭირდება დამატებითი საბუთები და დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა, რომ ევროკავშირში ივაჭრონ და ა.შ.

— მე მგონია, ბრიტანეთის უმრავლესობას სჯერა, რომ მოლაპარაკებების შედეგად ბრიტანეთი დაიტოვებს დაახლოებით ისეთივე ტიპის ურთიერთობებს ევროკავშირთან, როგორიც აქვს ნორვეგიას. ანუ, ერთიანი ბაზრის მონაწილე იქნება ევროკავშირის ეკონომიკური არეალის და ბრიტანეთის მოქალაქეების გადაადგილებაც ევროპაში და ევროპელების ბრიტანეთში იქნება უვიზო. ასევე, მრავალ სხვა საკითხში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ბრიტანეთმა, მაგალითად, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში. შეიძლება ერთიანი პოზიციები, რომელზეც დგას საგარეო პოლიტიკაში ევროპა დღეს, შენარჩუნდეს.

შეიძლება თავიდან იყოს გარკვეული სიბრაზე ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებმაც შეიძლება სხვა მიმართულებით ეცადონ წაიყვანონ პროცესი, მაგრამ საბოლოო ჯამში ის საერთო ინტერესები, რომელიც არსებობს, რომელზეც დგას ევროპული ინტეგრაცია, ეს ინტერესები არსად არ იკარგება, — განაცხადა გოგოლაშვილმა.

მისივე თქმით, ბრიტანეთის მოსახლეობის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ევროპული კრიზისის, განსაკუთრებით ლტოლვილების კრიზისის, მანამდე ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოხდა.

— სხვა პირობებში, ევროპაში რომ არ ყოფილიყო ასეთი მძიმე კრიზისი, ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა. ყველას კარგად ესმის, რომ ევროპაში ყველა სახელმწიფოს ერთადერთი სწორი განვითარების გზა არის ევროპული ინტეგრაცია, — აღნიშნა გოგოლაშვილმა.

რაც შეხება იმას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამან საქართველოზე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ევროსკეპტიკოსები ამ საკითხებს მოსახლეობაში თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ.

— ისინი იტყვიან — „აი, სად მივდივართ“, „ხედავთ, ევროპა თვითონ იშლება და ჩვენ რა გვინდა“, იქნება ასეთი სახის გამონათქვამები და მსჯელობები, მაგრამ ეს ყველაფერი ნელ-ნელა მიიღებს ისევ ნორმალურ ხასიათს. ჩვენ შეჩვეული ვართ აპელირებას ერთჯერად სკანდალურ მოვლენებზე.

სწორი დამოკიდებულება არის ერთადერთი ის, რომ საქართველოსთვის სხვა ალტერნატივა არ არის გარდა ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის და ინტეგრაციისა. სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ამ ისტორიულ ეტაპზე, იმიტომ, რომ ჩვენ ირგვლივ ვერ ვხედავთ ცოტა უფრო მაღალი კეთილდღეობის და მაღალი ჰუმანური პრინციპების მქონე ერთობას ქვეყნების, რომელთანაც შეიძლება ითანამშრომლო და ამ თანამშრომლობის ხარჯზე შენ თვითონაც სწრაფად განვითარდე, — განაცხადა გოგოლაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# ანზორ აბრალავა: „ნაციონალები თავს გვესხმიან“

მარიამ მჭედლიშვილი

8 ივნისიდან ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში რაიმე გამორჩეულს ვერ ხედავს ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ის აცხადებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება 8 ივნისის შემდეგაც ჩვეული რიტმით მიმდინარეობს.

ანზორ აბრალავა:

— საქართველოში ისეთი სიტუაცია გვაქვს, რომ, ფაქტობრივად, სულ საარჩევნო კამპანიაში ვიმყოფებით. ოფიციალურად საარჩევნო კამპანიის გამოცხადებას დიდად არაფერი შეუცვლია. ტელეეკრანებზეც ძველ სახეებს ვხედავთ, თემებიც ერთი და იგივე ტრიალებს.

***— ადრე ამბობდით, რომ ერთ მხარესაა „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს კი პოლიტიკური ველი ცარიელია. მომრავლებული სუბიექტების პირობებშიც ასეა?***

— სიცარიელეში პოლიტიკაში ვინმეს ფიზიკურად გამოჩენას არ ვგულისხმობ. მხედველობაში იდეები და პროგრამები, მკაფიო ხედვები მაქვს. ამ მხრივ პოლიტიკური სივრცე დაცლილია, პოლიტიკური ველი კი, პრაქტიკულად — ცარიელი. ახალი პარტიებიდან ახალი სიტყვა არავისგან მოგვისმენია.

***— მოსახლეობის ინტერესებს თუ ითვალისწინებენ პარტიები? ტერიტორიული მთლიანობის გარდა, ადამიანებს სიღარიბე და სამართლიანობის დამკვიდრების პრობლემა აწუხებთ.***

— პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა ზოგადად საუბრობს ყველაფერზე, რაც საბოლოოდ არაფერზე საუბარს ნიშნავს. ეს ძალები კონკრეტულად არაფერს ეხებიან, მათ არ გააჩნიათ მკვეთრი პოზიციები. ეს არაპროფესიონალიზმის ბრალია. პოლიტიკურ პარტიებს წინა პლანზე აქვთ წამოწეული აგრესია და ინტრიგა. ისინი მუდმივად ჩასაფრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ ვითარებაში ჯანსაღი პოლიტიკური აზრი, მოსახლეობის ინტერესები უკანა პლანზე იწევს. ნიჭიერი, პატიოსანი და გამოცდილი ხალხი ჩრდილშია, არენაზე კი უნიჭოები და არაკეთილსინდისიერები არიან. სამართლიანობა, მისი დამკვიდრება, მუდმივი და ზოგადსაკაცობრიო თემაა. სამართლიანობის იმ ფორმით დამყარება, რომელსაც ხალხი მოითხოვს, არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. საუბედუროდ, იმის ნაცვლად, რომ წინა რეჟიმის დამნაშავეებმა პასუხი აგონ, ჩვენ მათგან თავდასხმებს ვუყურებთ.

***— რას გულისხმობთ?***

— ადეიშვილის გარემოცვა რომ კორცხელის ჩხუბზე ატეხს ხმაურს, სირცხვილი არ არის? ნაციონალების დროს ბევრი კორცხელი, ზუგდიდი და თბილისი გვინახავს. სააკაშვილის ხელისუფლება მთელ საქართველოზე ძალადობდა. ახლა ეს მოძალადეები ყველაზე მეტად აქტიურობენ, დანარჩენები კი მათ წინაშე თავს იმართლებენ. როცა ხელისუფლება ვერ აღასრულებს მართლმსაჯულებას, მაშინ შეიძლება უმართავი პროცესები დაიწყოს. ძალიან ბევრი გამწარებული ადამიანია საქართველოში. ამ დაზარალებულებმა შეიძლება შურისძიებას მიმართონ. ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, ამაზე უნდა იფიქროს. როცა არჩევნებში მონაწილეობ, ქვეყანა და ხალხი უნდა გაღელვებდეს, იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რომ მაღალი ანაზღაურება და ძვირფასი მანქანა გექნება!

***— ბიძინა ივანიშვილი უკვე ჩაერთო საარჩევნო პროცესებში. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ მისი გააქტიურება არ ნიშნავს „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში ჩართვას, ვინაიდან ის არ არის პასუხისმგებლობის მატარებელი პირი..***

— ამას არ ვეთანხმები. ბიძინა ივანიშვილის აქტიურობა სწორედ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერ საარჩევნო კამპანიაში ჩართვაა. ნაციონალებს, მაგალითად, ეს ძალიან აღიზიანებთ. მათთვის ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური არსებობაც პრობლემაა. ეს პარტია მისი დაფუძნებულია. ბიძინა ივანიშვილს სრული უფლება აქვს, გამოუცხადოს მას მხარდაჭერა.

***— მმართველი კოალიციიდან გასულ პარტიებზე რისი თქმა შეიძლება?***

— ისინი ბოლო დრომდე სხვის ხარჯზე ცხოვრობდნენ ანუ პატერნალისტური დამოკიდებულება ჰქონდათ ყველაფრის მიმართ. ისინი თავიანთ ინტერესებს აბამდნენ სხვის ინტერესებს. ეს პარტიები დამოუკიდებლად მონაწილეობისას ნულოვან შედეგს მიიღებენ. ეგ კი არა, ბიძინა ივანიშვილმა რომ მიატოვოს „ქართული ოცნება“, ისიც ნულოვან წარმატებას მიაღწევს. საუბედუროდ, პრინციპები და ხედვები ძალიან ცოტა პოლიტიკოსს აღმოაჩნდა. მოსწონს ვინმეს თუ არა, პრინციპული გამოდგა ნინო ბურჯანაძე. პრორუსულის იარლიყი ნინო ბურჯანაძის ნაციონალებმა მიაწებეს.

***— ასეთი სახელი მას დაუმკვიდრდა.***



— თუ ვინმეა პრორუსული პარტიებიდან, ეს, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობაა. ნაციონალური მოძრაობის მთავარი მიმართულება ისტერიაა, დანარჩენი — რუსეთის ინტერესების სამსახური. სააკაშვილის ხელისუფლებამ ბევრი რამ ჩაიდინა ისეთი, რაც რუსეთისთვის იყო სასარგებლო. ბურჯანაძეზე ყვირიან, რუსეთში მაღალჩინოსნებს შეხვდა და დიალოგის მომხრეაო. სააკაშვილი და მისი გუნდი რომ ხვდებოდნენ რუსეთში გავლენიან პირებს, ის ხომ კარგი იყო? ნაციონალებისთვის რაც დასაშვებია, ის სხვისთვის აკრძალულია? ნაციონალებისთვის „ქართული ოცნებაც“ პრორუსულია.

***— ნაციონალურ მოძრაობას მეორე ჯგუფი გამოეყო. ვაშაძე და გირჩი არჩევნებში მონაწილეობენ.***

— მათ შორის ნიჭიერი ხალხიც არის, მაგრამ ეს პირები პოლიტიკაში ვერაფერს მიაღწევენ. ისინი, ალბათ, სხვადასხვა დარგში გააგრძელებენ საქმიანობას. გირჩია, ნაძვი თუ ტირიფი — ასეთ პარტიებს ილუზიები აქვთ, შანსები არ გააჩნიათ. არ არის დასაჯერებელი მათი განცხადებები იმაზე, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია მაშინდელ საშინელებებზე. ტრანსფორმაცია, ზოგადად, დამახასიათებელია პოლიტიკისათვის. მაგალითად, ადამიანები კომპარტიიდან მოხვდნენ მოქალაქეთა კავშირში, შემდეგ — ნაციონალურ მოძრაობაში. ასეთია ნაცმოძრაობის გენეალოგიური ხე. გირჩები შეიძლება უფრო გამრავლდნენ, მაგრამ არჩევნებში მათ არანაირი შედეგი არ ექნებათ. ეს ადამიანები პოლიტიკასაც დატოვებენ.

# თამაზ მეჭიაური: „ჩვენ რომ ევროკავშირში შევალთ, იქ აღარავინ დაგვხვდება“

## რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი



შორენა მარსაგიშვილი

**დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს ტოვებს. ეს ამბავი ბრიტანელებზე მეტად გულთან ახლოს საქართველოში მიიტანეს.**

**დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის საბოლოო შედეგების მიხედვით, ევროკავშირიდან გასვლის მომხრეებმა ოფიციალურად გაიმარჯვეს. ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლას ამომრჩევლის 51,9%-მა დაუჭირა მხარი, 48,1% წინააღმდეგი იყო.**

რეფერენდუმის შედეგებმა განსაკუთრებით ქართველი რესპუბლიკელები აღაშფოთა. პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით ბერძენიშვილის თქმით, ლონდონმა, შოტლანდიელებმა და ჩრდილოირლანდიელებმა ხმა ევროკავშირში დარჩენას მისცეს, გადაწყვეტილება კი, მომავლის ნაცვლად, ბრიტანულმა პროვინციამ, ჯენტლმენურმა ინგლისმა მიიღო.

ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ შეტევა ევროპულ ღირებულებებზეა. ამის მიუხედავად, მას სწამს, რომ ანტიევროპულობა დამარცხდება.

— დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ბრიტანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი, პროგრესული ნაწილისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ 10-15 წლის შემდეგ ბრიტანეთმა თავისი იდენტურობა დაიბრუნოს. ემიგრანტების წინააღმდეგ ხმა პროვინციამ მისცა, რომელსაც ემიგრანტი თვალით არ უნახავს. ემიგრანტები ლონდონში ცხოვრობენ და ლონდონმა თქვა, ჩვენ მზად ვართ, ცხოვრება მათთან ერთად გავაგრძელოთო. საქართველოშიც შეიძლება მოიძებნოს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც იტყვიან, რომ ევროპა ცუდია და ბრიტანეთის იმ ძალებს დავუჯეროთ, რომელმაც ეს გადაწყვეტილება უზრუნველყო, მაგრამ ეს არ არის სერიოზული.

მგონი, მოვასწრებთ ვიზალიბერალიზებულ საქართველოდ ქცევას, მაგრამ ჰოლანდიასა და გერმანიაში ანტიევროპული პარტიები ძლიერდებიან, შეტევა ევროპულ ღირებულებებზეა, მაგრამ ანტიევროპულობა ისევე დამარცხება, როგორც აქამდე არაერთხელ დამარცხებულა, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

შეშფოთებულია მისი თანაპარტიელი თინა ხიდაშელიც. თავდაცვის მინისტრის თქმით, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა ერთი ძალიან დიდი პროცესის დასაწყისია.

მისი თქმით, ეს პროცესი შეიძლება იყოს მძიმე ევროპისთვის, მაგრამ გამომაფხიზლებელიც.

— ეს არის სწორედ დემოკრატია, სადაც ხანდახან დემოკრატიული პროცესის შედეგად დგება ისეთი შედეგი, რომლითაც ყველა ბედნიერი არ არის. დემოკრატია არ ნიშნავს ერთ აზრზე ყველას ყოფნასა და სამხედრო წესრიგს საზოგადოებაში. დემოკრატია ხანდახან ასეთ შედეგებამდე მიდის. დიდი იმედი მაქვს, რომ, საბოლოო ჯამში, ევროკავშირი და მისი სიძლიერე არ დაზარალდება ამ რეფერენდუმის შედეგებით. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დიდ ბრიტანეთში კანონმდებლობა ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობას აძლევს რეფერენდუმის შედეგების შემდეგ პარლამენტს, ამიტომ ჯერ ყველაფერი წინ არის. ეს არის ერთი ძალიან დიდი პროცესის დასაწყისი, რომელიც შეიძლება იყოს მძიმე ევროპისთვის, მაგრამ გამომაფხიზლებელიც. იმედს ვიტოვებ, რომ ეს იქნება ევროპისთვის გამომაფხიზლებელი რეფერენდუმის შედეგი, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ხიდაშელმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძის განცხადებით, ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლასთან დაკავშირებით საქართველოსთვის არსებითად არაფერს ცვლის.

— ევროპული ერთიანობა რაღაც დონეზე ყოველთვის ეჭვის ქვეშ დგებოდა ხოლმე, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ არის რაღაც საერთო კულტურული და ისტორიული ერთიანობაც ევროპაში. რეფერენდუმი არსებითად საქართველოსთვის არაფერს ცვლის, — განაცხადა ფოფხაძემ.

რეფერენდუმის შედეგებს გაგებით ეკიდება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

მისი თქმით, უზარმაზარ პატივისცემას იმსახურებს ბრიტანელი ხალხის გამბედაობა და სიმამაცე, რომლებსაც შეუძლიათ, ყველაზე თამამი გადაწყვეტილებები მიიღონ, სამყაროს თამაშის ახალი წესები შესთავაზონ:

— თუკი მიგვაჩნია, რომ სამყარო, როგორიც ის დღეს არის, უფრო უკეთესია, ვიდრე იყო 200, 400 ან 800 წლის წინათ, ამაში ანგლოსაქსების დამსახურება უპირველესი და უდიდესია. 1215 წლიდან მოყოლებული, როდესაც „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ შედგა, კუნძული მაგალითის მიმცემია დანარჩენი მსოფლიოსათვის. იგი იყო და რჩება თავისუფლების სიმბოლოდ, სადაც ხალხი წყვეტს თავის მომავალს; სადაც დემოკრატია, უბრალოდ, არჩევნების ჩატარება არაა; სადაც არასოდეს შეშინებიათ ყველაზე გაურკვეველი მომავლისაც კი. ბრიტანელების არჩევანი შეიძლება გაირჩეს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, გაკეთდეს პროგნოზები, გამოითქვას ვარაუდები. რეფერენდუმის შედეგების შეფასებაც ამის მიხედვით მოხდება და ეს დროის საქმეა. რაშიც უზარმაზარ პატივისცემას იმსახურებს ეს ხალხი, არის გამბედაობა და სიმამაცე, ყველაზე ღრმა და უკიდეგანო ზღვაში შეცურონ, ყველაზე თამამი გადაწყვეტილებები მიიღონ, სამყაროს თამაშის ახალი წესები შესთავაზონ. ისინი არსად გარბიან. მათ ევროპა ახალი აღმოჩენებისკენ მიჰყავთ. დიდება თავისუფლებას, — წერს ზურაბ ჭიაბერაშვილი ფეისბუკზე.

ყველაზე ორიგინალურად რეფერენდუმის შედეგები დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა შეაფასა.

ის ბრიტანელების გადაწყვეტილებას იწონებს. მისი თქმით, მათ აქვთ სურვილი, შეინარჩუნონ ტრადიციები. ის ფიქრობს, რომ გამოკითხვის შედეგებს „ჩვენც უნდა გადავხედოთ“.

— ჩვენ რომ ევროკავშირში შევალთ, იქ აღარავინ დაგვხვდება. ბრიტანელებს კიდევ აქვთ სურვილი, შეინარჩუნონ ტრადიციები, ისტორია, ევროპელობა და წინ აღუდგნენ იმ ტენდენციას, რომელიც, ფაქტობრივად, ეროვნებებს შორის განმასხვავებელ ნიშნებს სპობს. ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს გაგრძელდეს და შეიძლება მივიღოთ ისეთი ევროკავშირი, სადაც მეტნი იქნებიან აზიური თუ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ვიდრე ევროპელები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენც უნდა გადავხედოთ გამოკითხვის შედეგებს. თუ, ერთი მხრივ, ამართლებენ, რომ ბრიტანეთი ევროკავშირის გარეშეც შეინარჩუნებს იმ ტრადიციებს ისეთივე წარმატებით, ჩვენც არავინ გვიშლის, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გადმოვიღოთ ყველაფერი კარგი, სანაცვლოდ არ დავთმოთ ჩვენი ფასეულობები, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის შედეგები არა მარტო ევროკავშირის, არამედ მსოფლიო პოლიტიკას შეცვლის.

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ყველას შევახსენო და, პირველ რიგში, იმ ჩემს ყოფილ სტუდენტებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე არიან და რომლებმაც ვერ გაიგეს, როგორც ჩანს, თავის დროზე როდესაც ვასწავლიდი, რომ ქვეყნის მიზანი არ შეიძლება იყოს რომელიმე თუნდაც ძალიან მიმზიდველ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ქვეყნის მიზანი უნდა იყოს ქვეყნის მთლიანობა, დემოკრატიული განვითარება, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, ეკონომიკის გაძლიერება და არა რომელიმე ორგანიზაციის წევრობა. ის, რაც ახლა მოხდა ევროკავშირთან დაკავშირებით, ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ერთმნიშვნელოვანია, რომ ბრიტანეთის გადაწყვეტილება შეცვლის ევროკავშირს რადიკალურად, შეიცვლება, შესაბამისად, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაც, მათ შორის საქართველოსთან მიმართებით.

— უკრაინაში უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ, როგორც ჩანს, ევროპა ველარ მოიცლის უკრაინის, საქართველოსა და სხვა მსგავსი ქვეყნებისათვის და ვიზალიბერალიზაციაზე ლაპარაკიც არაეფექტური და არარეალისტური იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ უმძიმესი პერიოდის განმავლობაში ევროპა გაუმკლავდეს სირთულეებს და სწორი პოლიტიკის განხორციელება გახდეს შესაძლებელი, ისეთი პოლიტიკის, რომელიც იქნება მართლაც დამოუკიდებელი და რომელიც ევროპისა და ევროპის ქვეყნების ინტერესებისათვის იქნება მიმართული, — აღნიშნა პარლამენტის ექსსპიკერმა.

ბურჯანაძის თქმით, ბრიტანეთის რეფერენდუმმა ყველას, ვისაც ანალიზის გაკეთება შეუძლია, დაანახა, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკაში იყვნენ პოლიტიკოსები, რომ ქვეყნის პრობლემებს წყვეტდნენ პოლიტიკოსები, დამოუკიდებელი და სწორად მოაზროვნე პოლიტიკოსები.

— ასეთ შემთხვევაში არც ევროპას და არც ჩვენს ქვეყანას მსგავსი პრობლემები არ ექნებათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციებში გაწევრიანება. ჩვენი მიზანია და უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია და ნებისმიერ ორგანიზაციასთან ურთიერთობა გამოყენებული იყოს ქვეყნის ინტერესების განსახორციელებლად და პრობლემების მოსაგვარებლად. ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი და ასეთ შემთხვევაში ქვეყანას ნაკლები პრობლემები ექნება, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ევროკავშირი შეასრულებს ძლიერი ლიდერის როლს სამეზობლოში“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც მთავრობის მეთაურის განცხადებაშია ნათქვამი, გიორგი კვირიკაშვილი ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს დემოკრატიულ გადაწყვეტილებად აფასებს, თუმცა იქვე აღნიშნულთან დაკავშირებით სინანულს გამოთქვამს.

მისივე თქმით, რეფერენდუმი ვერ შეცვლის იმას, რომ ევროკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირია მსოფლიოში, რომლის ძალა და სიმტკიცე კიდევ უფრო გაიზრდება.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— გუშინ ბრიტანელთა უმრავლესობამ ხმა მისცა ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლას. ეს არის დემოკრატიული გადაწყვეტილება, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ, თუმცა პირადად მე ვუერთდები ჩვენი კონტინენტის იმ ლიდერებს, რომლებიც სინანულს გამოთქვამენ ამასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მშვიდობისა და თანამშრომლობის ევროპულ პროექტს ალტერნატივა არ აქვს და ის აუცილებლად გაგრძელდება.

ეს რეფერენდუმი ვერ შეცვლის იმას, რომ ევროკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირია მსოფლიოში, რომლის ძალა და სიმტკიცე კიდევ უფრო გაიზრდება. დადგა საკუთარ თავზე დაკვირვების და, ამასთანავე, კონსოლიდაციისა და განახლების დრო.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი შესაძლებლობას მისცემს ევროკავშირს, გამოიყენოს თავისი ძლიერი მხარეები და კიდევ უფრო განმტკიცდეს და იაროს წინ. შესაბამისად, იმედის თვალით შევყურებ მომდევნო თვეებს, როცა ევროკავშირი შეასრულებს ისეთი ძლიერი ლიდერის როლს სამეზობლოში, როგორც ეს მსოფლიოში მის კუთვნილ ადგილს შეეფერება. ამავე დროს, ვთვლი, რომ გაერთიანებული სამეფო მომავალშიც შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს ევროპის უსაფრთხოებისა და განვითარების საქმეში.

# ანგელა მერკელმა ინგლისში გამართულ რეფერენდუმს „ევროპაში გარდატეხის მომენტი“ უწოდა



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა დიდ ბრიტანეთში გამართულ რეფერენდუმს „ევროპაში გარდატეხის მომენტი“ უწოდა. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ იუწყება.

„დღევანდელი დღე ევროპისთვის გარდამტეხი მომენტი გახდა, გარდამტეხი გახდა გაერთიანების ევროპული პროცესისთვის“, — განაცხადა მერკელმა ბერლინში. მისივე თქმით, გერმანიაზეა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და დაინტერესება, რომ ევროპის გაერთიანება წარმატებით დაგვირგვინდეს. ამასთან, მერკელი აცხადებს, რომ საჭიროა ბევრი რამის გაანალიზება გააზრებულად და დინჯად.

ანგელა მერკელი ბერლინში ეპატიჟება საფრანგეთის პრეზიდენტს, იტალიის პრემიერს და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს. ანგელა მერკელის, ფრანსუა ოლანდის, მატეო რენცისა და დონალდ ტუსკის შეხვედრა, შესაძლოა, ორშაბათს, 27 ივნისს გაიმართოს. სამშაბათს კი მერკელი ბუნდესტაგის სპეციალურ სხდომაზე სიტყვით გამოვა, რომელზეც გერმანიის მთავრობის პოზიციაზე ისაუბრებს.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ნონა ცაბაძე

# რა სჭირს ეროვნულ ვალუტას

**ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით ისევ გაუფასურდა. გუშინ ერთი დოლარის ოფიციალური ფასი 2, 2431 ლარს შეადგენდა.**

ეროვნული ვალუტის კურსი გაუფასურდა ევროსთან მიმართებითაც. გუშინ ერთი ევროს შეძენა 2,5603 ლარად იყო შესაძლებელი.

ეკონომიკის ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე ლარის გაუფასურებაში საგანგაშო სურათს ვერ ხედავს. მისი განცხადებით, რყევები მოსალოდნელი იყო და იმედოვნებს, რომ ლარი ძალიან მალე დაუბრუნდება ძველ ნიშნულს.



***— ბატონო სანდრო, ლარმა კვლავ დაიწყო გაუფასურება. რა ხდება? კიდევ ახალი პრობლემების წინაშე დავდგებით?***

— ჯერ ადრეა ლაპარაკი იმაზე, იქნება თუ არა პრობლემები.

***— ადრე ქადაგიძის ბრალი იყო, ლარი რომ უფასურდებოდა და ახლა ვის დააბრალებენ, ხომ აღარ არის ქადაგიძე?***

— ჯერ არ ვიცით ზუსტად მიზეზები, თუ რა ხდება. ჯერ ორი-სამი დღის პროცესია და უნდა დაველოდოთ. მიზეზის თქმა მიჭირს. ვნახოთ, რა იქნება ორ-სამ კვირაში. მე მეჩვენება, რომ ყველაფერი ძალიან მალე თავის ჩვეულებრივ საწყის სახეს დაუბრუნდება. ეს პატარა რყევებია, დიდი გაუფასურება ჯერ არ ჩანს.

***— და ეს პატარა რყევები რამ გამოიწვია, ან ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ პატარას დიდი რყევებიც მოჰყვეს?***

— ჯერ ძალიან ადრეა პროგნოზების კეთება. არავინ იცის, რა იქნება. დაველოდოთ.

***— ტურისტულია სეზონია და გამყარების მაგივრად ლარი უფასურდება. ეს საგანგაშო არ არის?***

— მე მეჩვენება, რომ ჭიქაში ქარიშხალს ტეხთ. მე წინდაუხედავ განცხადებებს არასოდეს ვაკეთებ! დაახლოებით ერთი თვის თავზე გეტყვით, რა ხდება, ახლა არ ვიცი.

***— ფიქრობთ, რომ ლარის გაუფასურების პროცესი მალე შეჩერდება, თუ ეს შეუქცევადია?***

— არ მგონია, რომ შეუქცევადი იყოს. მე მეჩვენება, რომ ეს უმნიშვნელო, ადგილობრივი რყევებია და ყველაფერი ძალიან მალე დაუბრუნდება თავის ნორმალურ სახეს.

***— ამბობენ, რომ ათი პროცენტით გაუფასურდა...***

— ათით არა, ხუთი პროცენტით გაუფასურდა. ვნახოთ, ორ-სამ კვირაში რა იქნება. მე მეჩვენება, რომ ეს ცენტრალური ბანკის რეზერვების გაზრდის შედეგია. ნელ-ნელა კვლავ დასტაბილურდება სიტუაცია და ლარი ისევ გააგრძელებს გამყარებს. ვნახოთ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი.

***— საგარეო ფაქტორი თუ იქონიებს გავლენას ლარზე?***

— ამ ეტაპზე — არა. ეს მთლიანად დამოკიდებული იქნება ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე.

***— წინასაარჩევნო პერიოდია და ამბობენ, რომ ეს სერიოზულად დააზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. ეს პროცესი უკვე ამის გამოძახილია?***

— მე ასე არ ვფიქრობ. არჩევნები არაფერ შუაში არ არის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკასთან. ამ პროცესმა, პირიქით, უნდა გაამყაროს ლარი. პარტიები დოლარებით მიიღებენ ფულს, შემდეგ ლარში პოლარიზაციას გააკეთებენ და ამ დროს ლარი მეტად უნდა გამყარდეს.

***— ფიქრობთ, რომ სიტუაცია მალე დასტაბილურდება?***

— აუცილებლად უნდა დასტაბილურდეს. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. თუ არადა, ეს ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს.

ჩვენ ეკონომიკის კიდევ ერთ ექსპერტ დემურ გიორხელიძესაც დავუკავშირდით, თუმცა მან ვრცელი კომენტარისაგან თავი შეიკავა და მიზეზად წინასაარჩევნო კამპანია დაასახელა.

***— ბატონო დემურ, ლარმა კვლავ გაუფასურება დაიწყო. ეს რით არის განპირობებული?***

— სანამ წინასაარჩევნო კამპანია არ დასრულდება, ამ თემაზე კომენტარებს არ ვიძლევი, მით უმეტეს — ლარზე.

***— რატომ? ლართან საარჩევნო კამპანია რა შუაშია?***

— სანამ არჩევნები არ ჩატარდება, ჩემი გადაწყვეტილება არ შეიცვლება. მე ლარზე უკვე ყველაფერი ვთქვი. სწორედ თქვენი გაზეთის საშუალებით გავაკეთე ის პროგნოზები, რაც მოხდებოდა.

***— მაინც ორი სიტყვით რომ გვითხრათ, რატომ დაიწყო კვლავ გაუფასურება? გვეშველა, ლარი საბოლოოდ გამყარდაო და...***

— არაფერიც არ გამყარდა, არანაირი საფუძველი გამყარებისა არ არსებობდა. ეს ყველაფერი ხელოვნური პროცესებია! მორჩა, მეტს ნურაფერს მკითხავთ. ყველაფერი ხელოვნური პროცესია, ხან წავა ზევით, ხან წამოვა ქვევით.

***— წინასაარჩევნოდ სიტუაციის გაუარესებას ელოდებით?***

— სიტუაცია უარესი იქნება. კარგი, აქ დავამთავროთ. შევხვდებით არჩევნების შემდეგ.

# ლევან კალანდაძე: „ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის და ევროს შესაძლო გაუფასურებამ პანიკა არ უნდა გამოიწვიოს“



ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის გაუფასურებამ და ევროს შესაძლო გაუფასურებამ ქართული საზოგადოება პანიკური შიშით არ უნდა მოიცვას, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა ლევან კალანდაძემ განუცხადა. როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა, ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგები ბრიტანულ ფუნტ სტერლინგზე დღეს უკვე აისახა და ის დოლართან მიმართებაში მკვეთრად გაუფასურდა.

**ლევან კალანდაძე:**

— საშუალოვადიან პერიოდში ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ გარკვეული რისკები და გამოწვევები ევროპულ ეკონომიკას, მათ შორის, ევროსაც ექნება და არ არის გამორიცხული, რომ ევრო დოლართან მიმართებაში გაუფასურდეს კიდეც. ზოგადად, დოლარის გამყარება ქართულ ეკონომიკაზე ყოველთვის აისახება, რადგან ღია ეკონომიკის ქვეყანა ვართ, გვაქვს მცურავი კურსი. აქედან გამომდინარე, დოლარის კურსის ცვლილებამ შეიძლება გარკვეული კორექტირება მოახდინოს ლარის კურსისაც, მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ ამ გამოწვევას, ახალი წონასწორობის ნიშნულის მოძებნას, პანიკურად და შიშით არ უნდა შევხვდეთ. ეს ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენაა. კურსის კორექტირება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესაბამისად ყოველთვის ხდება, ადგილი აქვს ხოლმე გარკვეულ გაუფასურებას, რასაც შემდგომ გამყარება მოსდევს, — განაცხადა კალანდაძემ.

ექსპერტის შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია რამდენად ადეკვატური იქნება ამ გამოწვევებისა და რისკებისადმი საქართველოს ხელისუფლება.

— უმთავრესი არის ის, რომ ჩვენ ამ პროცესში ხელოვნურად არ უნდა ჩავერიოთ, ხელოვნური ინსტრუმენტების გამოყენება პირიქით, უფრო აზიანებს ქართულ ეკონომიკასა და ბიზნესს, ვიდრე რაიმე სარგებელს აძლევს. აქედან გამომდინარე, მოლოდინები უნდა გვქონდეს ყოველთვის რაციონალური და პრაგმატული.

გარკვეული აჟიოტაჟი ამას არ უნდა მოჰყვეს. ის, რომ ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი გაუფასურდა და შეიძლება ევროც გაუფასურდეს, ამან ქართული საზოგადოება პანიკური შიშით არ უნდა მოიცვას, — განაცხადა კალანდაძემ.

ამასთან, ექსპერტის შეფასებით,







საქართველოში პროცესები არის საკმაოდ მართვადი. ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი პრინციპში გაუმჯობესებულია.

— მიმდინარე წელს სავალუტო შემოდინებები არის პოზიტიური, ასევე დარჩენილ პერიოდში მოლოდინები საკმაოდ კარგია. ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკაც თანმიმდევრულად მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ლარის კურსის მცირედი ცვლილებები და კორექტირებები დასაშვებია და რაც მთავარია, ეს არის დროებითი. მცირედ გაუფასურებას, კვლავ შეიძლება მოჰყვეს ლარის გამყარება და მგონია, რომ ფინანსური სტაბილურობის კუთხით ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ნორმალური მდგომარეობაა და ამ თვალსაზრისით ლარის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება, — განაცხადა კალანდაძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში ისევ გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი დოლარის ოფიციალური ფასი 2.2941 ლარი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

# დარიალის ხეობა ისევ დაიმეწყრა

## რა კავშირი აქვს ჰესებს მეწყერთან

შორენა მარსაგიშვილი

2 წლის მანძილზე დარიალის ხეობა უკვე მესამედ დაიმეწყრა. სპეციალისტების ნაწილი ამ პროცესს დარიალის ხეობაში ჰესების მშენებლობას უკავშირებს. ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს ენერგეტიკის სამინისტრო. თუმცა საბოლოო დასკვნა დადებული არ არის.

2014 წლის მეწყერებისგან განსხვავებით, 23 ივნისის მეწყერი გაცილიციამ ღვარცოფის ჩამოწოლისთანავე მყისიერად მოახდინა რეაგირება და სტიქიის ზონიდან გამოიყვანა ავტომობილები და მოქალაქეები, — განაცხადა მღებრიშვილმა.

ტერიტორია გეოლოგებმა ვერტმფრენიდან შეისწავლეს. პირველადი დათვალიერებით დადგინდა, რომ მეწყრის ჩამოწოლის საშიშროება არ არსებობს, თუმცა მოსალოდნელი ნალექის გამო, შესაძლოა ღვარცოფული ნაკადი კვლავ წამოვიდეს. სტიქიის ზონაში ტექნიკის მობილიზება მიმდინა-





ლებით მცირე მასშტაბის იყო. მცირე მასშტაბებში ის იგულისხმება, რომ მეწყერს მსხვერპლი არ მოჰყოლია. სხვა მხრივ უკეთესობა ნამდვილად არ არის. ადიდებულმა თერგმა სამანქანე გზა წაიღო. გზის აღდგენას რამდენიმე მილიონი დოლარი და დაახლოებით 20 დღე დასჭირდება.

პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, დევდორაკის ხეობის გზის აღდგენას 10-დან 14 დღემდე დასჭირდება და საჭირო თანხები რეზერვებიდანაც გამოიყოფა.

— რესურსები, რა თქმა უნდა, მობილიზებულია. ჩვენ, სახელმწიფო ბიუჯეტში გვაქვს გათვალისწინებული სტიქიის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხები. ამ წუთის შეფასებით, რა ინფორმაციაც მე მაქვს, ჩვენ დაგვჭირდება, სადღაც, 10 დღე — ორი კვირა იმისათვის, რომ ეს ჩაწყვეტილი გზა აღვადგინოთ, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

ღვარცოფის ჩამოწოლის შედეგად რამდენიმე ათეული ადამიანი გარე სამყაროსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მათ ღამე დარიალის ხეობაში მდებარე მონასტერში გაათიეს. 24 ივნისის დილით მაშველებმა მათი ევაკუაცია განახორციელს. ოპერაციას შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ხელმძღვანელობდა.

— ხეობაში მობილიზებული გვყავს საპატრულო პოლიცია, ასევე სამაშველო სამსახური. ისინი სრულ კოორდინაციაში მუშაობენ სხვა შესაბამის უწყებებთან. საპატრულო პოროებს, თუმცა სპეციალისტების თქმით, გზის გაწმენდითი სამუშაოები 3-4 დღის განმავლობაში ვერ დაიწყება.

— მყინვარწვერებზე ახალი მოწყვეტის ნიშნები არ არის. გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები იმყოფებიან მყინვარის ტერიტორიაზე და 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ მონიტორინგს. გუშინაც საფრთხის შესახებ სასწრაფოდ ეცნობა ქვედა ზონაში მყოფ სამსახურებს, ჩაიკეტა გზა და მოხდა მოქალაქეების ევაკუაცია, — განაცხადა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგმა მერაბ გაფრინდაშვილმა.

რამდენი მილიონი დასჭირდება გზის აღდგენას, ჯერ უცნობია. სპეციალისტები გადაწყვეტით ვერც იმას ამბობენ, რომ მეწყერი აღარ განმეორდება. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, სხვა მოსაზრება აქვს გეოლოგების ნაწილს.

ისინი დარიალის ხეობაში გახშირებულ მეწყერებს ჰესების მშენებლობას უკავშირებენ. დარიალის ხეობაში 3 ჰესი ააშენეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქ ჰესის აშენება კომუნისტებსაც უნდოდათ, მაგრამ მაშინ ქართველებმა შეძლეს კრემლის გადარწმუნება.

მაშინ დარიალის და ხდის ხეობები გადარჩა. ახლა კი, ერთიც და მეორეც განადგურების პირასაა. არადა დარიალის ხეობა დაცული ტერიტორიების ნუსხაში შედიოდა, ხდის ხეობა კი წითელ წიგნშია შეტანილი.

დაცული ტერიტორიების ნუსხიდან დარიალის ხეობა ნაციონალებმა 2011 წელს ამოიღეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჰესების მშენებლობის დაწყება სურდათ. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ისინი ბუნებას დაიცავდნენ. მოსახლეობას დაპირდნენ, რომ დარიალის ხეობაში აღარ აშენდებოდა ჰესები.

დაპირება არ შეასრულეს და ნაციონალების დაწყებული საქმე „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა. გავრცელებული ინფორმაციით, ჰესომანიას შეეწირა გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ხათუნა გოგალაძის სავარძელიც.

მისმა სამინისტრომ დადო დასკვნა, რომ ხდის ხეობაში ჰესის აშენება არ შეიძლებოდა. ამის საპასუხოდ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დემონსტრაციულად ჩავიდა ხდის ხეობაში და განაცხადა, რომ იქ ჰესი მაინც აშენდებოდა. ეს დანაპირები ხელისუფლებამ მართლა შეასრულა. გოგალაძე კი თანამდებობიდან წავიდა.

ცოტა ხნის წინ გარემოს დაცვის სამინისტრომ ახალი ნებართვა გასცა. ამჯერად საუბარია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობაზე.

მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, მშენებლობის პროცესი დაიწყო და შედეგიც უკვე სახეზეა. უამრავი სალი ხე მოიჭრა. რაც გარემოს დაცვის სამინისტრომ რატომღაც ვერ შეამჩნია.

მშენებლობა გრძელდება და კიდევ ბევრი ხე მოიჭრება. გადაითხრება მთები. ეს კი ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამაზე ხმას არ იღებს ნაციონალური მოძრაობა. არადა ამ პარტიამ ივანიშვილი ერთი ტიტის ხის გადარგვის გამო ლამის ჯვარს აცვა. ახლა კი შესაშურად არიან დადუმებულები. ეს ყველაფერი კი საფუძვლიან ეჭვებს ბადებს. არც ისაა შემთხვევითი, რომ მშენებლობა ნაციონალების დროს დაიწყო.

ნათქვამია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და ეტყობა, აქაც ასეთ განათებასთან გვაქვს საქმე.

# ნიუ იორკში ქართული ფილმის პრემიერა გაიმართება

„ქართული პური“ — ასე ეწოდება ფილმს, რომლის რეჟისორიც ქეთი ორჯონიკიძე-ქეისია. ფილმის პრემიერა 25 ივნისს ნიუ იორკშია დაგეგმილი. ფილმი 3 წლის განმავლობაში იქმნებოდა და მასში მთავარ როლს კახი კავსაძე თამაშობს.

ქეთი ორჯონიკიძე-ქეისი საქართველოდან 90-იანი წლების ბოლოს წავიდა და ამერიკაში გათხოვების შემდეგ რიგითი ემიგრანტი გახდა. მან ნიუ იორკის სიტი უნივერსიტეტში სარეჟისორო ფაკულტეტზე ისწავლა. მისი სადიპლომო ნამუშევარი „ნანა“, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი ცუცა კაპანაძე ასრულებს, 4 ნომინაციაზე წარადგინეს. ორგანიზაციამ „ქალები ნიუ იორკის ფილმისა და ტელევიზიისათვის“ ქეთის „დამწყები რეჟისორი ქალის“ ჯილდო მიანიჭა, კანადის საერთაშორისო ინტერნაციონალური ფილმების ფესტივალზე ფილმ „ნანას“ გადაღებისთვის სამეფო ჯილდო მიიღო. „ნანა“ ბერლინალეზეც იყო მიწვეული.

— ნიუ იორკში ის ემიგრანტები მიცნობენ, რომლებიც კულტურის განხრით აქტიურობენ. მაგრამ ახლა რადგან ორი ახალი ფილმი მაქვს, „ნანა“ და „ქართული პური“, მსურს, მეტ თანამემამულეს შევხვდე. ამიტომ სიამოვნებით მივიღებ მიწვევას ნებისმიერი ემიგრანტული დაჯგუფებიდან ან ქვეყნიდან. მიწვევას როცა ვამბობ, ვგულისხმობ გამოხმაურებას და არა ვიზას, რადგან დიდი ხანია, რაც ამერიკის მოქალაქე ვარ.



უკვე დაიგეგმა, რომ ოქტომბერში ტორონტოს ვესტუმრებით, ასევე იგეგმება მიუნხენი. ჩემი მთავარი მიზანია, ამერიკელმა მაყურებელმა საქართველო და ქართველები გაიცნოს. თანამედროვე მსოფლიომ ახლა დაგვიწყო, როგორც ერის გაცნობა და მინდა, ღირსეულად წარვდგეთ.

ძირითადად ჩემი ფილმები პატრიოტულ თემებზეა აგებული, ოჯახის, სამშობლოსა და ტრადიციების სიყვარულზეა, — ამბობს რეჟისორი.

ფილმი „ნანა“ სპეციალურად ცუცა კაპანაძისთვის დაიწერა. რაც შეეხება ფილმს „ქართული პური“, ეს იყო ჩვეულებრივი დავალება, რომელიც რეჟისორმა იმპროვიზაციაზე ააგო:

— ფილმში ბრუკლინში ქართველ მეპურეს ბოსი ათავისუფლებს სამსახურიდან. მან ქართული საცხობის ნაცვლად სუშის რესტორანი უნდა გახსნას, რომ მეტი მოგება ნახოს. ამ ჩანახატით ჩემი პროფესორი მოიხიბლა, რადგან მთელი სიუჟეტი სიტყვა- პასუხზე მქონდა აგებული. ქართული პურის ისტორიითაც დაინტერესდა და მთხოვა, რომ ახლიდან გადამეღო. სცენარმა მოითხოვა, ქართველი მეპურე უფროსი ასაკის ყოფილიყო, რათა მაყურებელს მეტი სიმპათია გასჩენოდა. გამახსენდა ბატონი კახი კავსაძე. ის ხომ, ბუმბერაზობის მიუხედავად, თავმდაბალი ადამიანია. ვიცოდი, რომ წლების წინ ნიუ იოკში უკრაინელი გოგონას სადიპლომო ფილმში ითამაშა. პირდაპირ დავურეკე და როლი შევთავაზე. ბატონი კახი არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა, ვილაც უკრაინელს დავეხმარე და შენ როგორ არ დაგეხმარებიო. ფილმის პრემიერა ნიუ იორკშია დაგეგმილი და მიხარია, რომ ნიუ იორკის ქართველი მაყურებელი იქნება ფილმის პირველი შემფასებელი, — ამბობს ქეთი ორჯონიკიძე-ქეისი.

„ნანასა“ და „ქართული პურის“ შემდეგ რეჟისორს სურს, ფილმი „დაბრუნება“ გადაიღოს მიერ მიერ დაწერილი ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით, რომლითაც ფილმები ტრილოგიად შეიკვრება და ლოგიკური დასასრული იქნება, რადგან მთავარი გმირი საქართველოში ბრუნდება.

**ეკა ირემაშვილმა**

# ვინ არის ბატონ-პატრონი შავ ზღვაზე?

რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის გაუარესების ფონზე მოსკოვის მიერ გაკეთებული გამაფრთხილებელი განცხადების თანახმად, კრემლი შეეცდება გაანეიტრალოს დასავლეთის ყველანაირი მოქმედება შავი ზღვის რეგიონში, თუ მათ რუსეთი საკუთარი უსაფრთხოების მუქარად ჩათვლის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შავ ზღვაზე მთავარი მოთამაშეები სწორედ რუსეთი და თურქეთი არიან, გამოდის, რომ მოსკოვისთვის ანკარის ყოველი მოქმედება, კრემლის სურვილისამებრ, ანტირუსული შეიძლება იყოს.

ამის შესახებ ამერიკული რადიოსადგურის „Radio Voice of America“-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაშია საუბარი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულ ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით:

დასამალი არაა, რომ ნატოს ხელმძღვანელობას რუსეთის არმიის მოდერნიზების ტემპები ძალიან აღელვებს: წამყვანი დასავლელი ექსპერტების შეფასებით, რუსეთის სარდლობამ ბოლო დროს შავი ზღვის რეგიონში შეიარაღების ახალი ნიმუშების რეგულარული განლაგება დაიწყო, მათ შორისაა ახალი საპატრულო ფრეგატი „ადმირალი გრიგოროვიჩი (ექსპლოატაციაში შევიდა მიმდინარე წელს), „ვარშავიანკას“ ტიპის დიზელძრავიანი წყალქვეშა ნავები და ფრთოსანი რაკეტები. არის იმის დამადასტურებელი მონაცემებიც, რომ მოსკოვი შავი ზღვის სანაპიროზე დაკავებულია კოსმოსური თანამგზავრების წინააღმდეგ მიმართული სისტემების და ე.წ. „ჰუმანური“, ანუ არასასიკვდილო იარაღის განლაგებითაც, მაგალითად, ელექტრომაგნიტური რხევების გამომწვევი მძლავრი აპარატურით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება დიდი რაოდენობის ადამიანების მტკივნეულ შოკში ჩაგდება.




დასავლელი ექსპერტები შიშობენ, რომ რუსეთის არმიის მოდერნიზების დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, ნატოს თავდაცვითი სისტემები სწრაფად მოძველდება და უსაფრთხოების მაღალ დონეს ვეღარ უზრუნველყოფს. აი, რას ამბობს აშშ-ში რუმინეთის ელჩი ჯორჯე მაიორი: „თუ ჩვენ ამ ნაბიჯებზე რეაგირებას არ მოვახდენთ, არაა გამორიცხული, რომ პროცესები კონტროლიდან გამოვიდეს. შედეგები კი ძალიან სერიოზული იქნება არა მარტო შავი ზღვის რეგიონისათვის, არამედ უფრო დაშორებული ტერიტორიებისთვის და ზოგადად, საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის“.

ამასთან დაკავშირებით, ბევრი ექსპერტი აცხადებს, რომ საჭიროა რუსეთის მოქმედების შემკავებელი პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელება, რომლის მიხედვით, ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები, უპირველესად კი, ცხადია, აშშ-ის გემები, შავი ზღვის აკვატორიაში მუდმივად იყვნენ, მორიგეობის სისტემით.

ამერიკელი დიპლომატის უილიამ კორტნის აზრით, რომელიც თავის დროზე აშშ-ის ელჩი იყო საქართველოში, „ამერიკის სამხედრო გემების რეიდს შავი ზღვის აკვატორიაში ამჟამად მხოლოდ არარეგულარული ხასიათი აქვს. მათ, ვისაც აინტერესებს კითხვაზე პასუხი, თუ რატომ არიან ამერიკის ფლოტის გემები ასე მცირე რაოდენობით შავ ზღვაზე, უნდა იცოდნენ, რომ მონტრეს კონვენციის თანახმად, შავ ზღვაზე ერთდროულად შეიძლება მხოლოდ სამი ამერიკული გემი იმყოფებოდეს და ისიც სამი კვირის განმავლობაში. მაგრამ ძალიან ხშირად ამ რეგიონში ჩვენ გემებს ვერ ვხედავდით ხოლმე, რადგან შავი ზღვა ჩვენთვის პრიორიტეტული არ იყო. ახლა კი ნატოს ფლოტის მუდმივი პატრულირება ამ რეგიონში პერმანენტულად უნდა ხდებოდეს“.

შავი ზღვისპირეთში საბრძოლო მორიგეობის განხორციელების დროს ამერიკელებს გემების როტაცია მოუწევთ, რაც უფრო მასშტაბურ ოპერატიულ დაგეგმვას საჭიროებს. 2014 წელს ნატომ რუმინეთსა და ბულგარეთში 2 საკომუნიკაციო ცენტრი გახსნა. გარდა ამისა, რუმინეთმა ბრიუსელს თავის ტერიტორიაზე ალიანსის ჯარების ბატალიონის განთავსებაც შესთავაზა (საკომუნიკაციო ცენტრის ჩარჩოებში). როგორც ნატოს გენმდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, ამ გეგმების მიზანს შავ ზღვაზე ალიანსის სამხედრო ყოფნის გაზრდა წარმოადგენს. ცნობილი ამერიკელი დიპლომატის ჯონ ჰერბსტის თქმით, რუსეთმა შავ ზღვაზე უკრაინის მიმართ აგრესიული აქტი განახორციელა, ყირიმი მიიტაცა და, შესაბამისად, დასავლეთის ამოცანაა მსგავსი რამ მომავალში აღარ დაუშვას.

***

თუმცა, როგორც ბრიტანული „როიტერი“ იტყობინება, ბოლო მომენტში ბულგარეთმა უარი განაცხადა შეუერთდეს ნატოს ფლოტს, რომელიც შავ ზღვაზე რუსეთის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. ბულგარეთის პრეზიდენტ როსენ პლევლენიევთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ბოიკო ბორისოვმა განაცხადა, მას თავისი ქვეყნის საზღვაო კურორტებთან სამხედრო გემების დანახვა არ სურს: „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ უმჯობესია აფრიანი ნავები, იახტები და ტურისტებით სავსე გემები დავინახო, ვიდრე რაკეტებით შეიარაღებული სამხედრო ხომალდები. მე არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის ნაპირებთან ბრძოლები გაიმართოს. საბოლოო ჯამში, მე არ მსურს, რომ შავი ზღვა სამხედრო-საზღვაო კონფლიქტის ზონად გადაიქცეს“

**ნიუსპრესი**



## კალეიდოსკოპი

### ველოსიპედისტი დათვს დაეჯახა



ამერიკის კალიფორნიის შტატში ველოსიპედისტმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ შეეჯახა დათვს. ვიდეოკამერა სპორტსმენის მუზარადზე იყო დამაგრებული. ადგილობრივი პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტის დროს სპორტსმენი მეგობრებთან ერთად ტბა ტახოს მახლობლად იმყოფებოდა.

მამაკაცმა ვიდეორგოლი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა. ექვს დღეში ის ხუთი ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

— დათვი მოულოდნელად გამოჩნდა და მანამდე გაუჩინარდა, სანამ მოვასწრებდი მეკითხა, ხომ არ დაშავებულა, — დაწერა ვიდეოს კომენტარში კალიფორნიელმა ველოსიპედისტმა.

### ჰასკისა და შპიცის ლეკვმა ინტერნეტი დაიპყრო



ამერიკის კალიფორნიის შტატის ბინადარი ლეკვი, რომელიც პომერანული შპიცისა და ჰასკის ნაჯვარს წარმოადგენს, სოციალური ქსელების მომხმარებელთა საყვარელ არსებად იქცა. ლეკვის ფოტოსურათებისა და ვიდეოს სოციალურ ქსელებში გამოჩენიდან ექვსი კვირის თავზე ლეკვის პატრონების მიერ ინსტაგრამში გახსნილ აკაუნტს უკვე 11 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ლეკვი, სახელად ნორმანი, იმ პროგრამის ფარგლებში დაიბადა, რომელიც პომსკის ჯიშის მოშენებითაა დაკავებული და რომლებიც პომერანული შპიცისა და ჰასკის ნაჯვარს წარმოადგენენ. ლეკვის აყვანის შემდეგ ნორმანის პატრონებმა სოციალურ ქსელში მისი პირადი გვერდი დაარეგისტრირეს, რათა მისი ცხოვრების ამსახველი კადრები გამოექვეყნებინათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# გერმანიის მაღაზიები — ქართული ბანდების სამიზნე



გერმანულ პრესაში („Die Welt“) კვლავ გრძელდება სტატიების ბეჭდვა ქართველი კრიმინალების თემაზე. ასე, მაგალითად, დღეს გაზეთ „ველტში“ გამოქვეყნებულია სტატია, რომლის ავტორი მაიკლ გროისმანი საცალო ვაჭრობისა და სამომხმარებლო პროდუქციის გაყიდვის სფეროში ჩადენილ დანაშაულობებს მიმოიხილავს.

„ტრადიციულად, არსებობს ასეთი სტერეოტიპი, რომ მაღაზიის ქურდებში კლეპტომანი ბებიები და უფულო თინეიჯერები სჭარბობენ, რომლებსაც მოდურად ჩაცმა-დახურვა და კოსმეტიკა კი უნდათ, მაგრამ ჯიბეცარიელები არიან. გერმანიაში საქმე სულ სხვაგვარადაა: მაღაზიის მფლობელებისა და გამყიდველებისათვის ყველაზე დიდ პრობლემას უცხოური ბანდიტური დაჯგუფებები წარმოადგენენ, რომლებიც ყოველწლიურად მათ დიდ ზარალს აყენებენ. ეს სრულიად ახალი ფენომენია“, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში გერმანიის მაღაზიებში ქურდობის ფაქტები ძალიან გახშირდა და ამ უკანონო ქმედებებში განსაკუთრებით ბევრი შეინიშნებიან ქართული ბანდიტური დაჯგუფებების წევრები, შედარებით ნაკლებად — ბალკანელები და ჩრდილოეთ აფრიკელები. ქურდები იპარავენ იმ საგნებს, რაც ძალიან ძვირია და მცირე მოცულობა აქვს, მაგალითად, ოქროულობას, ელექტრონულ საქონელს (სმარტფონებს), ძვირ კოსმეტიკას, ტანსაცმელს (განსაკუთრებით ქალების აქსესუარებს) და ა.შ.

რადგანაც მძარცველები არცთუ ისე იშვიათად შეიარაღებულნი არიან, ექსპერტები ამბობენ, რომ მაღაზიების მფლობელებმა თანამშრომლებს შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარონ, თუმცა, წინააღმდეგობის გაწევას, უმჯობესია, პოლიციას შეატყობინონ.

**ნიუსპრესი**

**სიახლე!!! მშენებელთა და მეტალოპლასტმასის საამქროს მფლობელთა საყურადღებოდ!**

ლიცენზირებული ფირმა გთავაზობთ მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ფუძის დაზიანებებისგან (მტვრევისგან) დამცავ მოთუთიებულ ლითონის გარსაცმს, რომელიც მარტივად მაგრდება ჩარჩოს ძირზე და იცავს მის პლასტმასის თხემს დ აბიჯებისას გარდაუვალი მსხვრევისგან.

1 ცალი (1-მეტრიანი) გარსაცმის ფასი – 12 ლარი, პარტიაში (50 ცალი და მეტი) – 10 ლარი.

ტელ: 599-94-51-82 (იხ.ნიმუში გურამიშვილის 33, მ/პლასტმასის საამქრო).

## ნულანდი და პოროშენკო ერთმანეთს შეხვდნენ



თანახმად უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობისა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი და უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ერთმანეთს მაინც შეხვდნენ. საუბარი ძირითადად პოროშენკო-ობამას შორის მომავალ შეხვედრას შეეხებოდა. ის ვარშავაში ამა წლის 8-9 ივლისსაა დაგეგმილი.

კიევიდან ნულანდი მოსკოვს გაემგზავრა. აქ ის ვლადისლავ სურკოვს შეხვდება. საუბარი ძირითადად დონბასის პრობლემის დარეგულირების გარშემო წარიმართება.

## გერმანიაში კინოთეატრზე თავდასხმა მოხდა



ქალაქ ფორთჰაიმში განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა კინოთეატრზე. უცნობმა მამაკაცმა ანაზდად რევოლვერი ამოიღო და ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა. დარბაზში პანიკა დაიწყო. ხალხი გასასვლელს მიაწყდა. გაჩნდა ზედახორა.

გამოიძახეს პოლიცია. კინოთეატრი ალყაში მოექცა. პოლიციელებმა რამდენიმე გასროლით თავდამსხმელი მოკლეს.

## სროლა ანკარის უნივერსიტეტში



ანკარის უნივერსიტეტის საავადმყოფოს აფთიაქში სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა. უცნობმა პირმა, რომელსაც თითქოსდა წამლის ყიდვა სურდა, აფთიაქის თანამშრომლებს უცენზურო სიტყვებით მიმართა. დაიწყო ჩხუბი. უცნობმა რევოლვერი იძრო და ცეცხლი გახსნა.

— შედეგად საავადმყოფოს აფთიაქის სამი თანამშრომელი ადგილზევე დაიღუპა, — იტყობინება „რია ნოვოსტი“.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ტაშკენტში შოსის სამიტი გაიმართა

ტაშკენტში შოსის (შანხაის გაერთიანების კავშირი) სამიტი გაიმართა. მასზე სიტყვით რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოვიდა. მან განაცხადა, რომ ირანმა შოსში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა:

— ამას გულმხურვალედ ვუჭერ მხარს, — თქვა პუტინმა.

სამიტზე განიხილეს სამუშაო, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შოსის ფარგლებში ჩატარდა. დაისახა თანამშრომლობის გაღრმავების გზები.

# უკრაინა ამერიკულ რადარებსა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს ელის

— ჩვენ ველით, რომ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები რადარებსა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს მოგვაწვდიან. დღეს ეს ჰაერივით გვჭირდება, რადგანაც რუსები დონბასში ახალ სისტემებს იყენებენ, — განაცხადა უკრაინის ვიცეპრემიერმა ივანა კლიმპუშ-ცინცაძემ.

უკრაინის ვიცეპრემიერი ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსის ორესტ კლიმპუშის ქალიშვილი და არჩილ ცინცაძის მეუღლეა. მისი ქმარი განათლებით არქიტექტორია. დაამთავრა სამხატვრო აკადემია, მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და ნიჭიერმა მეთაურმა. არჩილ ცინცაძე წლების განმავლობაში უკრაინაში მოღვაწეობდა. რაც შეეხება მის ცოლს, ის, მშობლიური უკრაინული ენის გარდა, ფლობს ინგლისურს, რუსულს, უნგრულსა და ქართულს. უმაღლეს რადაში ივანა კლიმპუშ-ცინცაძე პეტრო პოროშენკოს ბლოკის სიით გავიდა.



— ამ ქალბატონმა ძალზე ბევრი გააკეთა უკრაინა-აშშ-ის დაახლოებისა და უკრაინული არმიის განმტკიცებისათვის.

აშშ-ის კონგრესის უმრავლესობა უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს უჭერს. ამათგან განსაკუთრებით სენატორი ჯონ მაკეინი უნდა გამოვყოთ. რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მაკეინმა განაცხადა:

— დააკვირდით, რა დროს მოხდა გამოსვლები მაიდანზე. ობამას დოყლაპიობით პუტინმა ოსტატურად ისარგებლა. მან არა მხოლოდ სირიის დიქტატორ ასადის რეჟიმი გადაარჩინა. რუსული ინტრიგების წყალობით ევროკავშირში კრიზისი დაიწყო. ევროსკეპტიკოსები გააქტიურდნენ შვედეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში. ევროკავშირსაც დაშლის რეალური საფრთხე დაემუქრა.

ამავე დროს, მაკეინმა ყურადღება გაამახვილა პროცესებზე, რომლებიც 2011-2013 წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდებოდა. რუსულმა ბიზნესმა ევროპაში მყარად მოიკიდა ფეხი, რამაც ძლიერი პრორუსული ლობის წარმოქმნა განაპირობა. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი რუსეთის ეგიდით გაერთიანების პროცესი დაიწყო. ე.წ. ევრაზიულ კავშირში გაერთიანდნენ რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი. მართალია, უკრაინა ამ კავშირს არ შეუერთდა, მაგრამ პუტინმა მიაღწია იმას, რომ იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. კორუფციასა და სტაგნაციაში გახვეული ქვეყანა კატასტროფისაკენ მიექანებოდა. ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რომ წვრილ-წვრილ სეპარატისტულ ანკლავებად დაშლილი უკრაინა (დასავლეთის რეგიონის გარდა) ევრაზიის კავშირს შეუერთდებოდა.

— ამ პროცესს ხელი მაიდანმა შეუშალა. უკრაინულმა რევოლუციამ რუსეთის იმპერიის აღორძინება ჩაშალა. პუტინმა უკრაინელთა დასჯა გადაწყვიტა. ამიტომაც მოხდა ყირიმის ანექსია, დონბასში ომის გაჩაღება. დღეს, როცა ევროკავშირში არაერთგვაროვანი პროცესები დაიწყო, უკრაინის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. ჩვენ უკრაინელებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ობამას ეს არ ესმის, — ამბობს მაკეინი.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში დონბასის ფრონტზე მდგომარეობა გამწვავდა. სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა ჰაუბიცებით დაბომბეს სოფელი შიროკინო (მარიუპოლს მახლობლად). ცხარე ბრძოლა გაიმართა ავდეევკის მისადგომებთან. აქ რუსებმა შეტევაზე გადასვლა ცადეს. იერიში მოიგერიეს. დაჭრილია ორი უკრაინელი მეომარი. რუსების დანაკარგია 4 მოკლული, 8 დაჭრილი.

— დონბასში ჩვენ წინააღმდეგ რუსული რეგულარული არმია იბრძვის. ის უახლესი სამხედრო ტექნიკითაა შეიარაღებული. ჩვენც ამერიკულ რადარებსა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს ველით, რათა ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე დავიცვათ, — ამბობს ივანა კლიმპუშ-ცინცაძე.

## ბრიტანეთში რეფერენდუმი ჩატარდა



ბრიტანეთში დასრულდა რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე.

დილის რვა საათისათვის (თბილისის დროით) დათვლილი იყო ხმების 70 პროცენტი. აქედან ინგლისის ევროკავშირიდან გასვლას მხარს 51 პროცენტი უჭერდა, დარჩენას – 49,4 პროცენტი. 12 საათისათვის საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ბრიტანეთის მოსახლეობის 52-მა პროცენტმა მხარი ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირა.

— ვაცხადებ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, — ასეთი იყო ბრიტანეთის პრემიერ დევიდ ქემერონსის რეაქცია რეფერენდუმის შედეგებზე.

შოტლანდიის წარმომადგენლებმა უმალვე აღნიშნეს, რომ მათი ქვეყანა ბრიტანეთის შემადგენლობიდან გავა და ევროკავშირის წევრი დამოუკიდებლად გახდება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა სასწრაფოდ მთავრობის სხდომა მოიწვია. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა:

— ბრიტანული რეფერენდუმის შედეგებით იმედგაცრუებული ვარ! ეს ევროპისათვის კატასტროფაა!

ამ შეფასებას კატეგორიულად არ ეთანხმება ევროსაბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკი. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა:

— ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ტრაგედია მხოლოდ დიდი ბრიტანეთისათვის იქნება. ფუნტი დაეცემა, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება! ევროკავშირი არ დაიშლება, პირიქით, ის განვითარდება.

მსგავს პოზიციაზეა ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულციც. გერმანიის კანცლერ მერკელთან საუბარში მან აღნიშნა:

— ჩვენ წინასწარ განვჭვრიტეთ, რომ მოვლენები შესაძლოა ამ სცენარით განვითარებულიყო. ევროკავშირი მზადაა იმისათვის, რომ დიდი ბრიტანეთი მის რიგებს დატოვებს.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰემონდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ვლადიმერ პუტინისათვის ერთგვარ შეღავათს წარმოადგენს.

— შანსები იმისა, რომ ევროკავშირი რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს შეარბილებს, გაიზარდა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ბრიტანული რეფერენდუმის შედეგები არავითარ გავლენას არ იქონიებს ბრიტანეთისა და ნატოს ურთიერთობებზე.

— ბრიტანეთი იყო, არის და რჩება ნატოს ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და ძლიერ შემადგენელ კომპონენტად, – აცხადებს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ალიანსის როლი ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ გაძლიერდა.

— დღეს გაურკვეველი სიტუაციაა და ნატო ერთადერთი კომპონენტია, რომელიც ევროპის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● ფირმა გთავაზობთ რემონტში მოქცეულ და დაზიანებულ მეტალოპლასტმასის ჩარჩოს ძირზე ლითონის გარსაცმის გადაკვრას, ჩარჩოს ბეტონიდან ამოუღებლად, მინიმალურ ფასად. ტელ: 599-94-51-82.

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

**მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.**
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
**მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# ქართული კლუბების შანსები ევროტურნირებზე

სანამ ევროპის ჩემპიონატზე გახურებული ჯგუფური ეტაპი იყო, უეფამ გაარკვია ქართული კლუბების მეტოქეები. ამის შესახებ უკვე ვწერდით, მაგრამ ახლა გვინდა უფრო დაწვრილებით გიამბოთ ჩვენი გუნდების შანსებზე.

ქართული კლუბებისთვის კენჭისყრა ცუდი ნამდვილად არ იყო. შესაძლებელი იყო გაცილებით რთული მეტოქეებიც შეგვხვედროდა.

დავიწყოთ ჩემპიონით: თბილისის დინამოს, რომელიც განთესილი იყო, მეტოქე ანდორის სანტა კოლომასა და სომხეთის ალაშკერტის დაპირისპირებაში გამოვლინდება. ეს გუნდები პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლას. ცხადია, ამაზე იოლ მეტოქეს ქართული ფეხბურთის ფლაგმანი ვერ ინატრებდა.

დინამო საკმაოდ ძლიერდება, შეიძინა რამდენიმე ლეგიონერი, რომლებმაც შეთამაშება უნდა მოასწრონ, თორემ საკონტროლო მატჩში პოლონურ ლეგიასთან (1:1) მათი თამაში დიდად სახარბიელო არ ჩანდა. ერთია, ეს პირველი მატჩი იყო რაც ისინი გუნდს შეუერთდნენ, ამიტომ იმედი ჯერ არ დაგვიკარგავს.

მეტოქე სავარაუდოდ, სომხური კლუბი იქნება, რომელმაც თავის ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა და 3 ქულით გაასწრო გიუმრის შირაქს.

ალაშკერტიც ლეგიონერების იმედად არიან და იმუქრებიან კიდეც. თუმცა, დინამოს შანსები გაცილებით მაღალია.

ევროპის ლიგაზე განთესილთა შორის მხოლოდ გორის დილა იყო, რომელსაც მეტოქედ კიდევ ერთი სომხური კლუბი, ზემოთ ნახსენები შირაქია.



გორელებმა საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს და ასე მოიპოვეს ევროპის ლიგაზე ასპარეზობის უფლება. შირაქმა კი სომხეთის ლიგაში 52 ქულით მე-2 ადგილს უწია და მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა ჩემპიონ ალაშკერტს.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის ქალაქ გიუმრის გუნდი ევროპის ლიგაზე გასულ წელსაც ასპარეზობდა და საკმაოდ წარმატებითაც. მათ პირველი ეტაპიდან ბოსნიური ჟრინსკი გამოთიშეს (2:0,1:2) და მეორე ეტაპზე შვედურ აიკთან დამარცხდნენ.

გორელების ამბავი კი კარგად ვერ არის — გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და შესუსტებული შემადგენლობით ხვდება ევროტურნირს. შანსები უფრო თანაბრად შეიძლება შევაფასოთ.

სამტრედიელები 23-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ ევროტურნირებს და მეტოქედ აზერბაიჯანული გაბალა ერგო. სამწუხაროდ, ქართველ გულშემატკივარს გაბალასთან საკმაოდ ცუდი მოგონებები აკავშირებს. ჩვენმა მეზობლებმა გასულ წელს დინამოს ბარიერი დაძლიეს და შემდეგ ჯგუფურ ეტაპსაც უწიეს. აზერბაიჯანელებს საკმაოდ გამოცდილი უკრაინელი სპეციალისტი რომან გრიგორჩუკი წვრთნის.

გია ცეცაძის შეგირდებს უდავოდ ძლიერი და გამოცდილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს დაპირისპირება. ერთია, სამტრედიელთა ახალგაზრდა გუნდი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა და მწვრთნელიც საკმაოდ ნიჭიერია.

და მაინც, მცირე უპირატესობას გაბალას მივანიჭებთ, რომელთაც მეტი გამოცდილება აქვთ საერთაშორისო არენაზე და ეს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

აზერბაიჯანელთა თავკაცმა რომან გრიგორჩუკმა კენჭისყრის შემდეგ მცირედი კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ქართულ კლუბს საერთოდ არ იცნობს, მაგრამ იცის, რომ ქართულმა გუნდებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ და კარგი ფეხბურთელები ყავთ.

ჩიხურას მეტოქე მოლდოვური ზიმბრუა. საჩხერლები ბოლო წლების მანძილზე სისტემატიურად გადიან ევროტურნირებზე და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავს სულაც არ ირცხვენენ.

ზემო იმერლების მთავარი კოზირი ალბათ მაინც მთავარი მწვრთნელია, რომელიც უკვე მრავალი წელია სტაბილურად მუშაობს გუნდში და ყველა მეტოქესთან სხვადასხვა ტაქტიკით უწევს თამაში. ძირითადად, მეორე ნომრად ათამაშებს გუნდს და თავის შანსს ელოდება.

მოლდოველებმა გასულ სეზონში თავის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავეს და მცირე უპირატესობასაც მათ მივანიჭებთ.

ქართული კლუბის შესახებ არც მოლდოველებს გაუგიათ რამე. როგორც ზიმბრუს მცველმა, ალექსანდრ ბელევსკიმ განაცხადა, პირველად ესმის საჩხერული გუნდის სახელი.

ჯერჯერობით, ქართული კლუბები შეკრებას გადიან და მათზე ინფორმაციებს პარალელურ რეჟიმში მოგაწვდით.

# საგანგაშო თაობა და უქულო მეოთხედი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ევრობასკეტზე სისტემატურად თამაშობს, ლიდერების წასვლის შემდეგ დიდ ტურნირებზე გამოსვლის შანსი იკლებს. ამის მიზეზი ის თაობაა, საიდანაც უნდა მივიღოთ შევსება. შედარებით უკეთესად 18-წლამდე ასაკის თაობა მოდის და მართლაც საიმედო ჩანს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით 20 წლამდე ნაკრებზე, რომელმაც თელ ავივში მიმდინარე ამხანაგური ტურნირი 3 მარცხით დაასრულა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა რუსეთთან, ისრაელთან და ჰოლანდიასთან წააგეს.

პირველი მატჩი რუსებთან გავმართეთ და ჩრდილოელი მეზობლების გამარჯვებით — 65:51 დასრულდა.



რუსეთის ნაკრებმა მცირედით, თუმცა ყველა პერიოდი მოიგო და საბოლოოდ სხვაობამ 14 ქულა შეადგინა. ქართველებმა შემდეგი ხუთეულით ითამაშეს — გიორგი ჩაჩხიანი, დავით ლომიძე, ვილი ისიანი, მაიზერ რევაზაშვილი, სოსო გოგნაძე. მიუხედავად ტანმაღალი ხუთეულისა, ქართველებმა საბოლოოდ ფარი დათმეს (39:46). საქართველოს ნაკრებს ყველაზე დიდი ჩამორჩენა ბურთის კონტროლში ჰქონდა: ჩერქეზიშვილი გუნდმა 24 ბურთი დაკარგა, რუსებმა — 11.

რუსეთთან წარუმატებელი მატჩის შემდეგ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი ქართველები მასპინძელ ისრაელს შეხვდნენ და 22 ქულის სხვაობით — 63:85 დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა მასპინძელთა დარად 8 სამქულიანი ჩააგდეს და მოხსნებშიც მხოლოდ 2 ერთეულით ჩამორჩნენ ოპონენტს. განსაკუთრებული სხვაობა ორქულიან სროლებში იყო. ისრაელის ნაკრებმა 24 ორიანი ჩააგდო, ქართველებმა — 15.

რუსეთთან მატჩის მსგავსად, ქართველების აქილევსის ქუსლი ბურთის კონტროლი გახლდათ. ჩერქეზიშვილის გუნდის წევრებმა 25 ბურთი დაკარგეს მასპინძლების 15-ის საპირისპიროდ. მხოლოდ მეორე პერიოდი გამოდგა თანაბარი, რომელიც 19:19 დასრულდა, დანარჩენ მეოთხედებში კი ებრაელთა უპირატესობა აშკარა იყო.

2 მარცხის შემდეგ ტურნირის ბოლო შეხვედრა ჰოლანდიელებთან გამართა, რომელიც სხვებზე სუსტია. ქართველებმა 4-დან მხოლოდ ერთში დამარცხდნენ, მაგრამ ეს საბოლოოდ წასაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

პირველი მეოთხედი 14:14 დასრულდა, ხოლო მეორეში ქართველებს ცუდი რამ შეემთხვათ. ჩერქეზიშვილის გუნდის წევრებმა 10-წუთეულში ბურთი ვერ ჩააგდეს და პერიოდი 0:14 დათმეს. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მესამე მეოთხედი 9:8 მოიგო, ხოლო დასკვნით პერიოდში 14:12 იმარჯვა. საბოლოო ანგარიში ჰოლანდიელთა სასარგებლოდ დაფიქსირდა — 48:37.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბასტიონი საქართველოს ჩემპიონია — თრილერი ფინალში

## ბასტიონი-ვეჯინი 82:73




თამაშისთვის განკუთვნილი 40 წუთი და ამას დამატებული 2 ოვერტაიმი — ქალთა ლიგის ფინალი უაღრესად დაძაბული და დრამატული გამოდგა. ლელა ცანავას გაწვრთნილმა ბასტიონმა, რომელიც პარალელურად საქართველოს ასაკობრივი ნაკრებია, გოგონათა ტრილერში რუსთავის ვეჯინი 82:73 დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მიმდინარე სეზონში ოვერტაიმი გოგონათა ჩემპიონატებში აქამდე არ დაფიქსირებულა. დღევანდელ ფინალურ მატჩში კი ძირითადი დრო ხომ ფრედ დასრულდა, არც პირველმა დამატებითმა 5-წუთეულმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. მეორე დამატებით ხუთწუთეულში ბასტიონის გუნდმა მოახერხა და გამარჯვებამდე მივიდა, რაც უპირველესად ნატალი ოთხმეზურის დამსახურებაა. სხარტმა, მოქნილმა და გონივრულად მოთამაშე ნატალიამ მთელი თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა, თუმცა განსაკუთრებით გამოსარჩევია მისი თამაში ბოლო პერიოდში, როცა ბასტიონელებმა ჩამორჩენა გააბათილეს. ვეჯინი სულ წინ იყო — 6, 8 და 11 ქულით. მატჩის ძირითადი დროის 40 წუთი წინ ვეჯინელები იყვნენ. ბასტიონი-ნაკრების გოგონებმა მხოლოდ ბოლო წამებზე მოახერხეს გათანაბრება და ერთი დამატებითი 5-წუთეულის შემდეგ ვეჯინელთა წინააღმდეგობა გატეხეს.

ნატალია ოთხმეზურმა ბასტიონს 50 ქულით ულიდერა. 14 ქულა დააგროვა გვანცა ბოჭორიშვილმა. დამარცხებულთაგან 28 ქულით ნათია ფუტკარაძე გამოირჩა.

მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე მეორე ადგილზე გასული ვეჯინელები კალათბურთის ფედერაციის ქალთა კალათბურთის დეპარტამენტის კოორდინატორმა, ვალენტინ დერიუგინმა დააჯილდოვა. დერიუგინს პირველადგილოსანთა დაჯილდოებაში შეუერთდა ვეტერანი კალათბურთელი ლიკა ქაჯაია. საჩემპიონო თასის მისაღებად ბასტიონის კაპიტანმა თეონა მაჩალაძემ მატჩის გმირი, ნატალია ოთხმეზური გამოიხმო და გამარჯვებულები ზღვა სიხარულში გადაეშვნენ.

მესამე ადგილზე ქუთაისი გავიდა, რომელმაც ფინალურ შერკინებამდე გამართულ მატჩში 60:53 დაამარცხა ახმეტა და ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონა.

# ბორჯღალოსნების მორიგი გმირობა — ფიჯიც დამარცხებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წარმატებული გამოსვლის შედეგად, საქართველოს ნაკრებმა დაამყარა რეკორდი და თუ აქამდე წაუგებელი მატჩების სერია შვიდს შეადგენდა, ახლა ის 9-მდე გაიზარდა — მოგება ნამიბიასთან 2015 წლის მსოფლიო თასზე, ხუთი გამარჯვება რაგბი ევროპის ჩემპიონატზე, ფრე სამოასთან და მიყოლებით დამარცხებული ტონგა და ფიჯი.

ტესტსერიისა და უშუალოდ ფიჯისთან მატჩის შედეგი საქართველოს ნაკრების თავდადებულმა და კარგად ორგანიზებულმა დაცვამ, დისციპლინამ, შერკინებამ და ტაქტიკურად ჭკვიანურმა თამაშმა განაპირობა. მატჩი ყველა მორაგბემ კარგად ჩაატარა. ფიჯისთან ვფლობდით ტერიტორიულ უპირატესობას, ვაკონტროლებდით ბურთს და შეტევებით გამორჩეულმა მეტოქემ პირველად მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეძლო ბურთიანად ჩვენს 22-ში შემოსვლა.

წინასწარ გამოცხადებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილება იყო და თამაში სანდრო თოდუას ნაცვლად თამაზ მჭედლიძემ დაიწყო, ვინაიდან თოდუას გახურებისას ფეხი დაუზიანებია. მატჩი ბორჯღალოსნებმა მშვიდად დაიწყეს და დებიუტშივე შექმნეს ხიფათი, როდესაც ხმალაძემ დაუცველ ზონაში ფეხით გადაკიდა ბურთი, მეტოქე იქვე ჩავხურეთ, შეცდომა დავაშვებინეთ, შერკინებაში ჯარიმა მოვიპოვეთ და კვირიკაშვილმა ანგარიში გახსნა. სამწუხაროდ, ფიჯიმ ჯარიმა მატჩის განახლებისთანავე დაგვიბრუნა და ანგარიში გაათანაბრა. კვირიკაშვილს მე-15 წუთზე მეორე შანსი მიეცა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა გაუცუდდა. სამაგიეროდ, მეტოქეს 20 წუთში ორჯერ მოვუგეთ მათივე დერეფანი და კუნძულელების ნახევარზე დავმკვიდრდით.

მერე იყო ჩვენი 5-მეტრიანი დერეფანი და მოკლე ფრთაზე ჯაბა ბრეგვაძის შეტევა, რასაც იერიშის საპირისპირო ფლანგზე გაშლა და მჭედლიძის ლელო მოჰყვა, რომელიც რეფერიმ წინპასის გამო გააუქმა. თაზოს რამდენიმე წუთში მაინც შეეძლო ლელოს დადება, როდესაც ხმალაძის ფეხით თამაშის შემდეგ ბურთთან პირველი იყო, თუმცა უკვე ლელოში შესულმა ოვალი ვერ დაიმორჩილა. ტაიმის დასკვნითი წუთები მასპინძლების იყო და ამჯერად მათი ლელო გაუქმდა წინპასის გამო. ტაიმი 3:3 დასრულდა.

შესვენების შემდეგ ასიეშვილმა კარგად შეუტია, ბეგაძემ იერიში სწრაფად გაშალა მარცხენა ფრთაზე, ხმალაძემ სივრცით ისარგებლა, მბოჭავს დაუსხლტა, მერე ორი მცველი ზედ ხაზთან დაეჭიდა, თუმცა ლაშამ დამიწება მაინც მოახერხა. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა — 3:8.

ამჯერად მეტოქეს სწრაფი პასუხი არ გამოუვიდა, საქართველოს ნაკრებმა ლელო დაიცვა და 5-მეტრიანი ზონიდან კონტრშეტევით თამაში კვლავ ფიჯის ნახევარზე დააბრუნა. ამას მოჰყვა თანმიმდევრული შეტევა, ბურთი კარგად ვაკონტროლეთ, ფიჯი დაჯარიმდა და ამჯერად კვირიკაშვილი აღარ შეცდა — 3:11.

მნიშვნელოვანი იყო, დასკვნითი მეოთხედის წინ, როდესაც თამაში ყველაზე მეტად გაჭირდებოდა, სოლიდური უპირატესობის შექმნა და შერკინების შემდეგ ბეგაძემ მეტოქეს ხაზი გაუჭრა, ბურთი ფეხით შეაცურა, თუმცა ხმალაძეს მცველებმა დაასწრეს. ფეხით თამაში და მასპინძლების მათსავე ნახევარზე შევიწროვება შემდეგ ეპიზოდებშიც გამოგვივიდა, ბოლოსკენ გონევამ შემოგვიტია სახიფათოდ, ჯარიმა ფიჯიმ სწრაფად გაათამაშა, თუმცა რაქში კაჭარავა შეუდარებელი იყო და ეს შეტევაც მოვიგერიეთ. ჯარიმას მოლი მოჰყვა, მასპინძლები დაჯარიმდნენ და კვირიკაშვილმა 40 მეტრიდან ჯარიმა ვერ გაიტანა, მაგრამ ფიჯელებს კვლავ დავაშვებინეთ შეცდომა, შერკინებამ ამჯერადაც დიდებულად იმუშავა და კვირიკაშვილმა 25 მეტრიდან გაიტანა — 14:3.

**მილტონ ჰეიგი:**

— ეს გამარჯვება, როგორც ცალკე აღებული შედეგი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მაგრამ ეს ტურნე იმით იყო გამოსარჩევი, რომ ჩვენ შევძელით იმის გაკეთება რაც საქართველოს არცერთ ნაკრებს არ გაეკეთებინა მანამდე — ჩამოვედით კუნძულებზე და გავიმარჯვეთ სერიაში. ამის შესახებ მარტშიც კი ვსაუბრობდით და ყველანი უკვე მაშინ ვიყავით განწყობილნი იმისათვის, რომ ისტორია შეგვექმნა. ოკეანეთში ზაფხულის ტესტების დაუმარცხებლად დასრულება დიდ მიღწევას წარმოადგენს, რომელიც ჩვენ თავდაჯერებულობას შეგვმატებს, რათა ზრდა და განვითარება განვაგრძოთ. ყველას, ჩვენ ბიჭებს ვულოცავ სულითა და გულით, ვინაიდან ამ შედეგის მისაღწევად 4 კვირის განმავლობაში უკლებლივ ყველამ დღე და ღამე იმუშავა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 27 ივნისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ცოდვა და სირცხვილი" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 "ევრო – 2016" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 18.00 "კომუნიკატორი" 19.25 ევრო-2016. 19.50 ფეხბურთი ევრო 2016. 1/8 ფინალი. 22.00 ევრო-2016. 22.50 ფეხბურთი ევრო 2016. 1/8 ფინალი. 01.00 ევრო-2016. 01.25 მხ/ფ "მდინარე" (მ.გიბსონი) 03.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 04.00 "პირადი ექიმი"

